პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 207 (9983) | ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ინდოეთის რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში (1-ლი გვერდი).

ჟ. კაპანაძე. — გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლებზე (მე-2 გვერდი).

ი. ვერხოვცევი. — კომუნისტების პარტია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია (მე-2 გვერდი).

თვალისამხვევნი რუსთავიდან (მე-2 გვერდი).

გ. ჯიბლაძე. — ახალი სასწავლო წელი (მე-3 გვერდი).

კვალიფიციურ მუშებს—დირსეული ცვლა (მე-3 გვერდი).

ა. კუსრაშვილი. — ფაშიზმის [illegible] (მე-3 გვერდი).

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სკოლა ახალი ამოცანების წინაშე

პირველი სექტემბერი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის, პედაგოგ-მასწავლებლების, მთელი საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი დღეა — იწყება ახალი სასწავლო წელი. მაგრამ წლევანდელი პირველი სექტემბერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის, უდიდესი ამოცანების წინაშე აყენებს სკოლას. ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ამიტომ საბჭოთა სკოლა მოვალეა მისცეს ქვეყანას ყოველმხრივ განვითარებული, განათლებული, ამასთან ერთად პრაქტიკული შრომის ჩვევების მქონე, უნარიანი, სამშობლოს პატრიოტი ახალგაზრდები.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანებში მიღებული ლენინიზიებანი პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღების, სკოლების ახალ გეგმებზე, ახალ სასწავლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ საბჭოთა სკოლის, მასწავლებლების წინაშე განუზომელ შესაძლებლობებსა და ახალ პერსპექტივებს შლის მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლები გასული სასწავლო წლის დამთავრების პირველი დღიდანვე შეუდგნენ დღევანდელი დღისათვის მზადებას. სახალხო განათლების ორგანოები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და მთელი რიგი საშეფო ორგანიზაციების უშუალო დახმარებით ძირითადად კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის.

ამ დღეებში ჩატარებულმა მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა სასწავლო წლისათვის მზადების მრავალი დადებითი ფაქტი აღნიშნა. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება სკოლის შენობებისა და ინვენტარ-მოწყობილობის რემონტს, სკოლის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებას ახალი ხელსაწყოებით, სკოლების მომარაგებას სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების გადასვლაზე მზადებისა და პოლიტექნიკური სწავლების საკითხებს. როგორც თათბირებზე გამოირკვა, ამ მხრივ ცოტა მუშაობა როდი გაუწევიათ სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლის ხელმძღვანელობას. ქალაქების თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი სასკოლო შენობებით და კაბინეტ-ლაბორატორიებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საშეფო ორგანიზაციების პატრიოტული თაოსნობა, რაც ყოველმხრივ მხარდაჭერისა და წახალისების ღირსია. აფხაზეთის სსრ განათლების სამინისტრომ ვერ უზრუნველყო სკოლები საშენი მასალებით, და საშეფო ორგანიზაციები რომ არა, დღეს აფხაზეთის მთელ რიგ სკოლებში შეუძლებელი იქნებოდა ნორმალური მეცადინეობის დაწყება.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სერიოზული დამოკიდებულება სასკოლო საკითხებისადმი გამოვლინდა ამ დღეებში ქუთაისში მოწყობილი პარტიული აქტივის კრებაზე. აქტივის კრება სპეციალურად მიეძღვნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხს. ისეთ რაიონებში, როგორიც არის ადიგენი, ასპინძა და ახალციხე, წელს ფართოდ გაჩაღდა ახალი სკოლების მშენებლობა. წელს მიმდინარე რემონტი უნდა გაკეთებოდა 3.020 სასკოლო შენობას, შეკეთებულიყო 57.815 მერხი, 10.056 საკლასო დაფა, 11.466 მაგიდა, 16.056 სკამი, 3.472 კარადა. ამ სერიოზულ ამოცანებს სათანადო ორგანიზაციებმა ძირითადად კარგად გაართვეს თავი, მაგრამ უნდა აღინიშნოს „თბილისმშენისა“ და „საქმშენის“ ნაკლებ ოპერატიული მუშაობა სკოლების მშენებლობის დარგში, რაც ამ ორგანიზაციებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ.

ახალი სასწავლო წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სხვა სასწავლო წლებისაგან განმასხვავებელი საკითხი — ეს არის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღება. ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის თვალსაზრისით, ქალ-ვაჟთა ურთიერთმეგობრული, თავაზიანი, დაძმური დამოკიდებულების განმტკიცების თვალსაზრისით. ახლა ჩვენი სკოლების, მასწავლებლების ამოცანაა გააღრმავონ ბუნებრივი მასწრაფება მოსწავლე გოგონებისა და ვაჟების ასეთი ურთიერთობისაკენ, ჩაუნერგონ მათ ყველა კეთილშობილური თვისება, რომ სკოლის მერხზე ჩაყრილი მათი მეგობრობა სკოლის შემდეგაც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდეს და ასეთი დამოკიდებულება ემსახურებოდეს შრომის, სწავლის, პატრიოტიზმის საქმეს.

ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების, პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის და ახალი სასკოლო გეგმა-პროგრამების შემოღება უნდა გახდეს უდიდესი ფაქტორი მოსწავლეთა აკადემიური წარმატების, სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ჩვევების გამომუშავების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო მოსწავლის ცოდნის შეფასებაში არაობიექტურობას, ლიბერალობას. უნდა დავიმახსოვროთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში წლევანდელი მისაღები გამოცდების დროს გამოვლინებული მეტად არასახარბიელო სურათი, როდესაც მედალოსნების დიდმა უმრავლესობამ ვერ გაამართლა იმედები. ეს შედეგია სწავლა-აღზრდის დაბალი დონისა, რაც ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე უნდა იქნას გათვალისწინებული.

მოსწავლეებს მტკიცედ უნდა გამოვუმუშაოთ პრაქტიკული შრომის ჩვევები. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს პოლიტექნიკური სწავლება, ამას უნდა ემსახურებოდეს კაბინეტ-ლაბორატორიები, მიწის საცდელი ნაკვეთები, საწრეო მუშაობა.

სკოლის ხელმძღვანელების, მასწავლებლების, პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცება. სასტიკად უნდა ვებრძოლოთ უდისციპლინობის, ხულიგნობის სულ მცირე გამოვლინებასაც კი.

საბჭოთა მოსწავლე ყოველმხრივ სანიმუშო და სამაგალითო უნდა იყოს. პედაგოგმა მას თანმიმდევრულად, მტკიცედ უნდა ჩაუნერგოს ყოფაქცევის მაღალი კულტურა, მიაჩვიოს ღირსი ზრდილობას, უფროსებისადმი პატივისცემას. დროა აღმოიფხვრას მოსწავლეთა ანტრელიგიური აღზრდის უგულებელყოფა, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეთა ორგანიზებულობა უწინარეს ყოვლისა გამომუშავდება გაკვეთილზე. აქ კი ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის ოსტატობაზე. მან საინტერესოდ და უნარიანად უნდა წარმართოს მეცადინეობა, იყოს მოსწავლისადმი მომთხოვნელი და ამავე დროს გულისხმიერი.

მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის, მათი შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში სკოლას ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდნენ სასკოლო პარტიული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციები და მშობელთა კომიტეტები.

იწყება ახალი სასწავლო წელი.

სახალხო განათლების ორგანოების, პედაგოგ-მასწავლებლების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა ყოველდღიურად იზრუნონ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებისათვის, ყველა პირობა შექმნან მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

ქურსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმა

ქურსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის პროგრამას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 7,7 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს თავიანთი თავი თესლით 1955 წლის მოსავლის მისაღებად საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის და მარცვლეულს ინახავენ საფურაჟე და სადაზღვევო ფონდებში. კოლმეურნეობები განაგრძობენ პურის ჩაბარებას ნატურანაზღაურების ანგარიშში მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის, პურს ყიდიან სახელმწიფო შესყიდვის წესით და კოლმეურნეებს მარცვლეულს აძლევენ შრომადღეებზე.

ამჟამად ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები შრომობენ, რათა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალი ხარისხით დაამთავრონ საშემოდგომო კულტურების თესვა, კარგად მოემზადონ და დროზე აიღონ შაქრის ჭარხლის, კანაფისა და კარტოფილის მოსავალი, შეასრულონ მზრალად ხვნისა და მეცხოველეობისათვის საკვების დაგროვების გეგმა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრების შედეგები

მეშახტის დღის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ შახტებს შორის ივლისში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ მეორე ფულადი პრემია (42.000 მან.) მიანიჭეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს (უფროსი ბ. ვაჭარაძე).

მესამე საკავშირო ფულადი პრემიები მიენიჭათ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მესამე შახტის (უფროსი ა. ლომია) და მეოთხე შახტას (უფროსი ა. ჭირაქაძე) კოლექტივებს.

საექსპლოატაციო უბნებს შორის ივლისში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს ქვანახშირის კომბინატისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი რესპუბლიკური პრემია 10.000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეორე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს.

ფილა ჩაის შემფუთავი მანქანა

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა წელს ჩაისა და საკონსერვო მრეწველობისათვის 8 ახალი მანქანა აითვისა. ათვისებულია ა. გრიგორიევის სისტემის ნედლი ჩაის დამხარისხებელი ვიბრაციული მანქანა, ხილ-ბოსტნეულის დამანაწევრებელი უნივერსალური მანქანა და სხვ.

ქარხნის საექსპერიმენტო საამქროში დაამთავრეს ფილა ჩაის შემფუთავი ავტომატის აწყობა, რომელმაც წინასწარი გამოცდისას კარგი შედეგები გვიჩვენა. ამჟამად მანქანა სახელმწიფო გამოცდაზეა. ეს მანქანა რთულ ავტოგატს წარმოადგენს, შედგება 7 ათასამდე დეტალისაგან, რომლებიც უაღრესი სიზუსტით დამუშავებას მოითხოვენ.

ამბები საწარმოებიდან

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროდების საამქროს უფროსის მოადგილემ მ. დემიანენკომ გააკეთა ელექტროდების მასის ამრევი დანადგარის მექანიკურად დამყარებელი ხელსაწყო, რამაც საგრძნობლად გაადიდა საამქროს მუშათა შრომის ნაყოფიერება. (ხ. მუმლაძე).

სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატს მეორე კვარტალში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიეკუთვნა საქართველოს კ. პ. სოხუმის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. (საკ. კორ.).

ჰიათურელმა მაღაროელებმა საშეფო კოლმეურნეობებს წელს პირუტყვის ბინებისა და საბურავების ასაგებად მიაწოდეს 500 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა, 30 ტონა ქვანახშირი, 25 ტონაზე მეტი რკინა, 10 ტონამდე ნახშირი ბაგირი და საკუთარი ტრანსპორტით გადაუზიდეს 100 ტონამდე მინერალური სასუქი. (საკ. კორ.).

ტრაქტორისტების სოციალისტური შეჯიბრება

ქარელის მტს-ში

კეხიჯვრისა და სანებლის კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს № 2 სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. იკოშვილი), რომელიც მოწინავეა მთელ მტს-ში.

ჩაეხა რა საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ბრიგადის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა საშემოდგომოდ მოხნას 300 ჰექტარი. 30 აგვისტოსათვის მოხნა 250 ჰექტარი. ხვნა წარმოებს წინასახნისიანი გუთნებით 25-26 სანტიმეტრის სიღრმეზე.

ხვნას ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ ტრაქტორისტები ბ. ოსკანოვი და გ. მეტრეველი.

დაწინაურდა შ. გეგელაშვილის სატრაქტორო ბრიგადაც.

აღნიშნული ბრიგადების მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს პურეულის საშემოდგომო თესვა ჩაატარონ 15 დღეში ჯვარედინად და ვიწროწკრიფებად.

საგარეჯოს მტს-ში

მრავალჯერ გამოუჩენია თავი № 2 სატრაქტორო ბრიგადას (ხელმძღვანელი გ. ჩუნთიშვილი) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საქმეში. ახლაც მან წარმატებით გაანაღდა პირობა—770 ჰექტარის ნაცვლად საშემოდგომოდ მოხნა 1.000 ჰექტარი და დაზოგა 3 ტონა საწვავი.

მოწინავე ტრაქტორისტები ა. კურდღელაშვილი, ვ. ქვომთელიშვილი, ვ. ფხალაძე, ნ. ტაბატაძე, რომლებიც ხვნაზე მძლავრ მანქანებს ამუშავებენ, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს.

ნაყოფიერი შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ ს. ხატიაშვილისა და ი. ოდიკაძის სატრაქტორო ბრიგადებიც.

მტს-მა უკვე 25 აგვისტოსათვის გადაჭარბებით გაანაღდა საშემოდგომო ხვნის გეგმა. გეგმის გადამეტებით მოხნულია 341 ჰექტარი. მტს-ის სატრაქტორო პარკი ახლა გადაყვანილია მზრალად ხვნაზე.

საგარეჯოელმა მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს საშემოდგომო პურეული მთლიანად ჯვარედინად დათესონ.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმების შესრულება

აჭარის სსს რესპუბლიკამ სახელმწიფოს ჩააბარა 40,3 ტონა აბრეშუმის პარკი და წლიური დავალება 100,8 პროცენტით შეასრულა.

წყალტუბოს რაიონმა 107,5 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 115 ტონისა დაამზადა 121,4 ტონა პარკი.

მაიაკოვსკის რაიონმა დაამზადა 25,5 ტონა აბრეშუმის პარკი, რითაც წლიური გეგმა 102,2 პროცენტით გაანაღდა.

მარნეულის რაიონმა, რომელმაც 521 ტონა აბრეშუმის პარკი დაამზადა, წლიური გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულა.

მშენებლობა საძოვრებზე

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს ყიზლარში ცხვრის ბინების მშენებლობა. აგებულია 10.800 სულის ტევადობის კეთილმოწყობილი სადგომები. ბინები ამოყვანილია ალიზის კედლებით. გარდა ამისა, ძველ ბინებს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, ნამატისათვის საკმაო რაოდენობით აიგო საბატკნე. წელს ყიზლარში გამოზამთრებისათვის რაიონიდან უნდა გადაიყვანონ 15 ათასამდე სული ცხვარი. ბინები კი 16 ათასზე მეტს დაიტევს.

ყიზლარში ასევე წარმატებით დამთავრდა მწყემსებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ხუთისა, აგებულია ათი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლი. თიანეთის სტალინის სახელობისა და არტნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა მწყემსებისათვის აშენდა ორი კეთილმოწყობილი აბანო. („კომუნისტის“ კორ.).

დათესილია პირველი ჰექტარები

დუშეთი. (სპეც. კორ.). მექანიზატორთა შორის ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საშემოდგომო თესვის გეგმის დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის. ბევრი ტრაქტორისტი ამ ვალდებულებას კარგად ასრულებს. დაწინაურდა ილ სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც სოლომონ სანშვილი ხელმძღვანელობს. მანქანის ხრული დატვირთვით გამოყენების შედეგად ბრიგადამ საშემოდგომო ხვნის დავალება ყველაზე ადრე შეასრულა და მოხნა 650 ჰექტარი.

სანაშვილმა სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობაში დაიწყო საშემოდგომო ხორბლის შერჩევითი თესვა. პირველი დღიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობს ტრაქტორისტი კ. ქორქაშვილი, რომელმაც ერთ დღეს ბაზალეთის კოლმეურნეობაში „კდ-35“ მარკის ტრაქტორით საშემოდგომო ხორბალი დათესა 38 ჰექტარზე ნაცვლად 30 ჰექტარისა. ამ წარმატებას იმით მიაღწია, რომ ტრაქტორს მიაბა სამი სათესი მანქანა და უზრუნველყო მათი შეუფერხებელი მუშაობა. კ. ქორქაშვილმა ვალდებულება იკისრა ამ წესით ყოველდღიურად დათესოს 35-40 ჰექტარი.

მოწინავეებმა საშემოდგომო ხვნის გეგმა შეასრულეს. ტრაქტორისტმა სულხან ნაზლაიძემ მოხნა 207 ჰექტარი და წლიური დავალება 102 პროცენტით გაანაღდა, ხვნის დავალება შეასრულა აგრეთვე ვლადიმერ ბუჩაიშვილმა.



სურათზე: ხორბლის თესვა სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობაში. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ინდოეთის რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში

30 აგვისტოს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა ხელოვნების ინდოელ ოსტატთა — მეგობარი ინდოელი ხალხის წარმომადგენლთა პირველი კონცერტი. ინდოეთის უძველეს, თვითმყოფ და უაღრესად ეროვნულ კულტურას დიდად აფასებენ საბჭოთა ადამიანები.

თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. სცენა მორთულია საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. კონცერტის დაწყების წინ შესრულებულ იქნა ინდოეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ინდოეთის მსახიობებმა უჩვენეს მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც შეიცავს ინდური ცეკვის, მუსიკისა და ოპერეტური ხელოვნების კლასიკურ და ხალხურ ნიმუშებს.

კონცერტი დაიწყო ეროვნული პოეტის იკბალის პოემით „ჩვენი ინდოეთი ყველაზე უკეთესია“. იგი შეასრულეს მომღერლებმა და მუსიკოსებმა მირა ჩეტერჯიმ, სურინდერ კაურმა, სურიამუკხმ, ტომბინო დევიმ, სურიენარაინმა, გიან გზოშმა, რავი შანკარმა, ასა სინგხ მასტანამ, დორაისვამიმ, კრიშნა პილაიმ, ნარაიანსვამიმ.

ინდოელ მსახიობთა გამოსვლა დამთავრდა იმით, რომ კონცერტის ყველა მონაწილემ შეასრულა ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი — ჯანა განა მანა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და ცხადყო ინდოელ მსახიობთა ნიჭი და შესრულების დიდი ოსტატობა. მქუხარე ტაში, რომელიც მრავალჯერ ისმოდა დარბაზში, საბჭოთა ადამიანების მეგობრული გრძნობებისა და დიდი ინდოელი ხალხის კულტურისადმი დიდი ინტერესის გამოხატულება იყო.

კონცერტის შემდეგ ძვირფას სტუმრებსა და მათი სახით მთელ მშვიდობისმოყვარე ინდოელ ხალხს მხურვალედ მიესალმა საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით ხელოვნების მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ა. მოისეევმა, მიმართა რა სტუმრებს, უსურვა ინდოელ ხალხს შემდგომი წარმატება.

— ჩვენი კარიც ისევე, როგორც ჩვენი გული, — თქვა მან, — ფართოდ არის გაღებული ინდოელი მეგობრებისათვის.

ი. ა. მოისეევმა გამოარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას.

კონცერტის ყველა მონაწილეს ყვავილები მიართვეს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურმა — ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ მ. ჩანდრასეკხარმა. მან დამსწრეთ ინდოელი ხალხის მხურვალე სალამი გადასცა, მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და თქვა, რომ ინდოელ მსახიობთა ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა შემდგომ კულტურულ დაახლოებას, მშვიდობის საქმეს, ორ დიდ ხალხს შორის მეგობრობის საქმეს. კონცერტს დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი, ა. ა. გრომიკო, ს. ვ. კაფტანოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშები.

კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი თავისი მეუღლით, მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მეთაურები და წევრები. (საკდესი).

სოფლის მეურნეობის მშრომელთა მოწინავე გამოცდილების კინოპროპაგანდა

დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ დაამთავრა მუშაობა ფერად მოკლემეტრაჟიან ფილმზე „ბორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში“. კინოდოკუმენტი მოგვითხრობს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მოწინავე გამოცდილებაზე სათბურებსა და ღია გრუნტში ბოსტნეულის მოყვანის დარგში.

რეჟისორი ბ. რ. ნებილიცკი ამ დღეებში დაბრუნდა ყაზახეთიდან, სადაც მან გადაიღო დოკუმენტალური ფილმი „გამოღვიძებული ველი“ — კინომოთხრობა ყამირი მიწების ათვისების შესახებ. დამთავრდა მექანიზატორთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წამომწყების —სტავროპოლის მხარის პეტროვსკის მტს-ის კოლექტივის სურათის ძირითადი გადაღება.

იქმნება დიდი დოკუმენტალური ფილმი — „1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა“. პავილიონებში, ბაღებში, კვალსათბურებსა და მეცხოველეობის ფერმებში ოპერატორები აფსკზე ასახავენ მომავალი ფილმისათვის საჭირო ყველა ეპიზოდს.

გარდა კინოსურათისა, სტუდია თვეში ექვსჯერ უშვებს კინოჟურნალს „დღის ახალ ამბებს“. ამ ჟურნალში სისტემატურად თავსდება აგრეთვე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კინორეპორტაჟი, სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. (საკდესი).

ტირაჟები სექტემბერში

მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართება სახელმწიფო მომგებიანი სესხების ოთხი ტირაჟი.

19 სექტემბერს ასტრახანში გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის მოგებათა მეათე ტირაჟი. 20 სექტემბერს იქვე მოეწყობა ამ სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი.

30 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 41-ე ძირითადი და მე-7 დამატებითი ტირაჟები. (საკდესი).

გავაძლიერეთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლებზე

ახალ, 1954-55 სასწავლო წელს ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის სკოლები მომზადებული ხვდებიან. კაპიტალურად შეკეთებულია შვიდი სასკოლო შენობა, მიმდინარე რემონტი გაუკეთდა ორს. სასკოლო შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებაზე 310 ათასი მანეთი დაიხარჯა. წელს გაცილებით უკეთესი პირობებია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კარგად დაყენებისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობის სწორად წარმართვისათვის, ვიდრე წინა წლებში.

სასკოლო შენობების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთების საქმეში დიდი დახმარება გაგვიწიეს საშეფო ორგანიზაციებმა — თბილისის მე-5 სამშენებლო სამმართველომ, „სოფლელექტროს“ კანტორამ და სხვ. რაიონის სკოლებს 60.000 მანეთის ინვენტარი შეემატა, სასწავლო კაბინეტები შეივსო საჭირო ხელსაწყოებით, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკები სხვადასხვა ლიტერატურით. ყველა სკოლა უზრუნველყოფილია სათბობით.

რაიონის სკოლებმა გასულ სასწავლო წელს მაღალი აკადემიური სწავლისა და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის კარგი მაგალითები გვიჩვენეს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც რაიონის სკოლებს ჰქონდათ. ჩვენი სკოლებიდან 449 მოსწავლე სრულებით არ იქნა დაშვებული გამოცდებზე, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 889 მოსწავლეს, ხოლო იმავე კლასში დატოვებულ იქნა 545 მოსწავლე. 432 მეორეწლიანი მოსწავლიდან წარმატება არ ჰქონდა 100 მოსწავლეს.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით უნდა აიხსნას, რომ რაიონში 129 კომკავშირელს მიეცა საშემოდგომო გამოცდა, ხოლო 25 კომკავშირელი დატოვებულ იქნა იმავე კლასში.

ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საუკეთესოდ დავაყენოთ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების სწავლება. ჩვენს სკოლებს ბევრი ჰყავთ ამ საგნების კვალიფიციური, გამოცდილი და თავისი საქმით დაინტერესებული მასწავლებელი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საგნების სწავლებაში ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ კიდევ ყველა მასწავლებელი ერთნაირად დაინტერესებული როდია სკოლის კეთილდღეობით. ზოგიერთი პედაგოგი სათანადო პასუხისმგებლობას არ გრძნობს მოსწავლეთა წარმატებისა და სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სკოლებს ხელთ აქვთ მთავრობის გადაწყვეტილება ამ სასწავლო წლიდან ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაზე გადასვლის შესახებ. ეს დიდად სასარგებლო მოვლენაა სკოლების ცხოვრებაში, მაგრამ ამავე დროს დიდად პასუხსაგები როგორც სკოლის მთელი კოლექტივისათვის, ისე განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელებისათვის. ახლა განსაკუთრებით საჭირო იქნება კლასის ხელმძღვანელის უდიდესი მზრუნველობა, სიფხიზლე, ინდივიდუალური ძიდგომის უნარი მოსწავლე გოგონებსა და ვაჟებს შორის სპეტაკი მეგობრობის, კოლეგიალობის და ჯანსაღი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად. გასულ სასწავლო წელს იყო მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის, ქუჩებში, ბაზარში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში უსაქმოდ ხეტიალის შემთხვევები. ახალი სასწავლო წლიდან ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდ როლს ასრულებენ სასკოლო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ჩვენს რაიონში არც ერთი სკოლა არ არის, სადაც არ არსებობდეს პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მოწაფეთა კომკავშირული ორგანიზაცია. მაგრამ ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ვხვდებით სკოლებში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში, მოწმობენ, რომ ზოგიერთი სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები მუშაობენ არადამაკმაყოფილებლად, სკოლების საჭირბოროტო საკითხებიდან მოწყვეტით. უნდა ითქვას, რომ სასკოლო პარტიულ ორგანიზაციებს სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით გაჩაღებულ მუშაობაში და საერთოდ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. ყოფილი ვაჟთა 21-ე, მე-19, 24-ე სკოლების პარტორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაც. კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან დისციპლინის განმტკიცებისათვის, ზოგჯერ ყურადღებას არ აქცევენ სკოლის ცხოვრებაში ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორიც არის მასწავლებელთა დავალების შეუსრულებლობა, გაკვეთილების ცუდად მომზადება, კარნახი, გადაწერა, ნაკლებად აწყობენ ლექციებს, მოხსენებებს, გასაუბრებებს. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეანელეს ახალგაზრდობაში ანტირელიგიური პროპაგანდა.

ჩვენი რაიონის მთელი პედაგოგიური კოლექტივი და განათლების განყოფილება, პარტიული და განათლების ორგანოების დახმარებით და ხელმძღვანელობით გაუმჯობესებენ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას, განუხრელად განახორციელებენ მთავრობის დადგენილებას სკოლებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ და ახალ სასწავლო წელს მოგვცემენ მოსწავლეთა აღზრდისა და წარმატების საუკეთესო შედეგებს.

ქ. კაპანაძე,
ხაქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი.

ხაშურის რაიონში

ქალაქის კეთილმოწყობა

მიმდინარე წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ბევრი რამ გააკეთა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. გაზაფხულზე ქუჩებში, მოედნებზე, მდინარის სანაპიროებსა და სკვერებში დაარგო ასობით ძირი მრავალწლიანი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარე. ქალაქის გამწვანებისათვის მოეწყო ყვავილის ორანჟერია. მდინარე სურამულას ნაპირზე გაკეთდა 250 კუბმეტრის მოცულობის საყრდენი კედელი. ქუჩებზე და მთავარ მოედანზე დაიგო 4.000 კვადრატული მეტრი ასფალტი. მოიხრეშა ლესელიძის ქუჩა 980 გრძივ მეტრზე. მახარაძის და სანაპირო ქუჩებზე დაიდგა ლამპიონები.

რკინიგზელები ეხმარებიან კოლმეურნეობებს

ხაშურის მტკ.-ის ზონის კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ ხაშურის რკინიგზის კვანძის საწარმოთა კოლექტივები. შენობათა და ნაგებობათა დისტანციამ სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობაში გაგზავნა დურგალთა ბრიგადა, რომელიც დაეხმარა კოლმეურნეებს პირუტყვის ბოსლის მშენებლობაში. სალიანდაგო დისტანციამ დახმარება გაუწია გვერდისუბნის კოლმეურნეობას მსხვილფეხა პირუტყვის ბოსლის მექანიზაციის საქმეში.

საელმავლო და საორთქლმავლო დეპოების კოლექტივებმა რაიონის კოლმეურნეობებს გაზაფხულზე მიაწოდეს ნეშომპალის ქოთნების დასამზადებელი 15 დაზგა. სავაგონო დეპომ სავანისუბნის კოლმეურნეობას დაუმზადა კვალსათბურების ჩარჩოები.

ახალი მშენებლობანი

სურამის ქარხის ქარხნის დირექციამ ქარხნის ტერიტორიაზე დაამთავრა ორსართულიანი 8-ბინიანი მუშათა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და კეთილმოწყობა. ბინებში უკვე შეასახლეს მუშები.

შენობათა და ნაგებობათა დისტანციამ ყაზბეგის ქუჩაზე ხაშურში აგებს 8-ბინიან საცხოვრებელ სახლს. ჩქარი ტემპით წარმოებს აგრეთვე რაიკოოპკავშირის სამსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა.

გაზეთ „მეტალურგიისათვის“ 10 წლისთავი

რუსთავი. (საკ. კორ.). 30 აგვისტოს ათი წელი შეუსრულდა რუსთავის საქალაქო გაზეთს „მეტალურგიისთვის“. ამ თარიღის აღსანიშნავად კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკის სახაფხულო თეატრში გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები და გაზეთის მკითხველები — მეტალურგები, მშენებლები, მეშინტაჟეები, ინტელიგენცია.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა გაზეთის რედაქტორი ავხ. კ. მუხლაძე. როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ გაზეთი „მეტალურგიისათვის“ გარკვეულ დახმარებას უწევს რუსთავის მეტალურგებსა და მშენებლებს მათ წინაშე მდგომი საპატიო ამოცანების წარმატებით განხორციელებაში. ამასთან აღინიშნა საქალაქო გაზეთის მთელი რიგი ნაკლოვანებანი, კერძოდ ის, რომ გაზეთში კამპანიურ ხასიათს ატარებს მეტალითონისათვის, სწრაფი და მაღალხარისხოვანი მშენებლობისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საკითხების გაშუქება, მკრთალად შუქდება პარტიული ცხოვრების საკითხები, ცოტა იწერება ინტელიგენციის ცხოვრებაზე. გაზეთი სუსტად მუშაობს მუშა კორესპონდენტებთან და საკმაო დახმარებას არ უწევს ძიერეული პრესის მუშაკებს.

კრების დასასრულ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილემ ამხ. მ. კოვარსკიმ საქალაქო გაზეთის რედაქციას მეტალურგთა სახელით საჩუქრად გადასცა რუსთავის თუჯისაგან ჩამოსხმული ფილა სამახსოვრო წარწერით.

თვალისამხვევნი რუსთავიდან

რუსთავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოთა კოლექტივების წინაშე სერიოზული ამოცანებია დასახული — უზრუნველყონ მეტალურგთა ქალაქის მოსახლეობა პირველი მოთხოვნილების საგნებით: სამრეწველო, სასურსათო ნაწარმით, საოჯახო ინვენტარით.

მაგრამ კომბინატის ხელმძღვანელები, ეტყობა, სხვა აზრისა არიან. ისინი უმთავრესად იმას ცდილობენ, რომ როგორმე დამაკმაყოფილებელ „საშუალო“ მაჩვენებლებს მიაღწიონ. ჩვეულებისამებრ აქ კვლავ სისტემატიურად არ სრულდება გეგმები ყველა ასორტიმენტის მიხედვით, განსაკუთრებით— იმ სახეობათა პროდუქციის გამოშვების დარგში (ავეჯი, რკინის საწოლები, საბავშვო ფეხსაცმელი და სხვ.), რაზეც განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მაღაზიასა და ფარდულებში სჭარბობს თბილისიდან შემოტანილი საქონელი. ამასთან კომბინატის ნაწარმს მდარე ხარისხის გამო არ ეტანება მყიდველი. კომბინატის ხელმძღვანელები უფრო იმას ცდილობენ, რომ განავითარონ წარმოების ისეთი დარგები, საიდანაც მეტი გამოსარჩენი ექნებათ.

წელს მეორე კვარტალში კომბინატის დირექტორმა ე. წუწუნავამ რუსთავის აღმასკომთან შეუთანხმებლად ტყავის გასალაქავი სახელოსნოსათვის კაპიტალური შენობა ააგებინა და ახალ სახელოსნოში ისე შეუდგნენ მუშაობას, რომ ამის შესახებ რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთხანს არაფერი იცოდა.

რათ უნდოდათ მაინცდამაინც ტყავის გალაქვის ასე ელვისებურად დაწყება? — თურმე იმიტომ, რომ გალაქული ტყავი „დეფიციტური“ საქონელი ყოფილა.

იმის ნაცვლად, რომ კომბინატის ხელმძღვანელებმა ბრძოლა გააჩაღონ საამქროებში შრომის ნაყოფიერების, რენტაბელობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მათ ხელი მიჰყავეს თვალისახვევის პრაქტიკას.

რამდენიმე ფაქტი: მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ზემდგომ ორგანოებს კომბინატის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად აცნობეს, რომ დამზადებული ჰქონდათ 224 ცალი რკინის საწოლი. სინამდვილეში 214 საწოლი იყო გამოშვებული. ამასთან ჩაიდინეს მეორე სიყალბე: გამოშვებული საწოლების საერთო ღირებულებად ფაქტიური 20.816 მანეთის ნაცვლად 44.900 მანეთი უჩვენეს. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ავეჯის საწარმოდან ხუთი თვის შედეგების მიხედვით გამოშვებულად უჩვენეს 121.100 მანეთის ავეჯი. ფაქტიურად ამ პერიოდში მხოლოდ 87.700 მანეთის ავეჯი იყო გამოშვებული.

ხშირია შემთხვევა, როცა კომბინატის ხელმძღვანელები ერთისა და იმავე სახეობის პროდუქციის შესახებ რამდენიმე განსხვავებულ მაჩვენებელს ასახელებენ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოშვებული საპირე ტყავის რაოდენობა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში წარდგენილი ცნობით ნაჩვენებია 21.300 კვადრატული დეციმეტრი, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარესთან წარდგენილ ცნობაში კი აღნიშნულია 26.195 კვადრატული დეციმეტრი, ხოლო ადგილობრივი ბუხჰალტრული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გამოუშვიათ მხოლოდ 23.454 კვადრატული დეციმეტრი. ამავე პერიოდისათვის გამოშვებული მაგარი და რბილი ტყავის ფულად ღირებულებად კომბინატიდან რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წარუდგენეს 82.900 მანეთი, ხოლო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რუსთავის საქალაქო ინსპექტორას — 35.000 მანეთი. ყველა ოფიციალურ ცნობას ხელს აწერენ ე. წუწუნავა, ბუხჰალტერი გ. გოგიჩაიშვილი, ეკონომისტთა ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი ნ. კანიგინი.

რუსთავში ხშირად ჩამოდიან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები, მაგრამ მათ ჩამოსვლას არასოდეს არ მოჰყოლია შედეგად კომბინატის მუშაობის გაუმჯობესება. პირიქით, ზოგჯერ სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები არასაკადრის როლშიც გამოდიან, მფარველობენ სახელგატეხილ ადამიანებს. ამას წინათ რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა არაკეთილსინდისიერი მუშაობისათვის საქმიანობიდან მოხსნა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ეკონომისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. კანიგინი, ოფიციალ გაბერილი ციფრების შედეგნით კომბინატში ყველასათვის ცნობილი გახდა. ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე კადრების დარგში ამხ. ვ. უთალიშვილი დაუყოვნებლივ გამოექომაგა ნ. კანიგინს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ წესრიგი უნდა დაამყაროს რუსთავის კომბინატში.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭიათურელი სტახანოველების საწარმოო ექსკურსია თბილისში

ჭიათურიდან თბილისში საწარმოო ექსკურსიაზე ჩამოსული იყო მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს ლითონდამამუშავებელ სტახანოველთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მექანიკური საამქროს უფროსი ი. კაპანაძე.

ჭიათურელები ესტუმრნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, გაეცნენ ამ ქარხანაში მომუშავე ლითონდამამუშავებელთა გამოცდილებას. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ექსკურსანტების შეხვედრა ჩქაროსან ხარატთან, ნოვატორ ი. ჭუმბურიძესთან. ჭუმბურიძემ სტუმრებს უჩვენა თავისი მუშაობის მეთოდები, გაიცნო ვ. კოლესოვის საჭრისით მუშაობის წესი, ლითონის ძალსნსური და ჩქაროსნული ჭრის ხერხები.

სტუმრებს ესაუბრა და საჭრისების ახალი გეომეტრიის მნიშვნელობა გააცნო ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსმა ნოვატორმა ინჟინერმა გ. სიმონიანმა.

ჭიათურელი სტახანოველები ლითონდამამუშავებელთა გამოცდილების შესასწავლად ესტუმრნენ დედაქალაქის სხვა საწარმოებსაც.

ფერილები რედაქციას

გაგრის საქალაქო ნაპირი ბევრ უფლებას დაკარგავს

მრავალი დამსვენებელი ეტანება ზაფხულობით საქართველოს შავი ზღვის სანაპირო კურორტებს, მათ შორის გაგრას. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ კურორტებზე მიმავალ დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კარგი საქმე გააკეთა — დაიწყო პირდაპირი მატარებლის მომოსვლა თბილისიდან გაგრამდე.

მაგრამ რა გამოვიდა მატარებლის მომოსვლის დაწყებით? მატარებელი წესიერად არ არის მოწყობილი, არ ჰყოფნით თეთრეული და ლოგინები მგზავრებისათვის, ვაგონებში უსუფთაობაა. ყოველივე ამას მგზავრი, რომელსაც წასვლა ან დაბრუნება ეჩქარება, კიდევ შეურიგდებოდა, რომ ადგილი არ ჰქონდეს ერთ ოქმაშფოთებელ მოვლენას — მატარებელში ერთ სამგზავრო ადგილზე ორი და ხშირად სამი ბილეთის გაცემას. აი ფაქტები:

26 აგვისტოს მატარებელი №55 გაგრიდან თბილისისაკენ უნდა გამოსულიყო დანიშნულ დროზე, როგორც მოძრაობის გრაფიკით არის გათვალისწინებული. ამ დროსთვის კი მატარებელი, არათუ გამოსული, ბაქანზე ჩამოყენებულიც არ იყო. როცა ჩამოაყენეს, შეიქნა სინილი უწესრიგობა. მგზავრები ჩქარობდნენ ვაგონებში შესვლას, ვინაიდან იცოდნენ, რომ ერთ ადგილზე რამდენიმე ბილეთი იქნებოდა გაცემული და ადგილი იმას დარჩებოდა, ვინც მიასწრებდა. ასეც მოხდა.

გორის რკინიგზის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. დემეტრაშვილი, გორის ლიმონთის ქარხნის მონაგარიშე თ. რატიშვილი, თბილისის კინოთეატრის მუშაკი პ. პარტინა, რომელთაც შეძენილი ჰქონდათ პლაცკარტიანი ბილეთები ამავე მატარებლის მეოთხე ვაგონის №9-13, მე-14 და მე-15 ადგილებზე, თავიანთი ბილეთებით ხელში უადგილოდ დარჩნენ. როგორც გამოირკვა, მგზავრებმა ეს ბილეთები შეიძინეს წინასწარი დაკვეთით სანატორიუმებში, ხოლო იგივე ადგილები გაგრის რკინიგზის საქალაქო სადგურმა სხვა მგზავრებს მიჰყიდა. მარტო ამ დღეს და ამ ვაგონში ერთ საწოლ ადგილზე ორი ბილეთის გაყიდვის 10 შემთხვევა აღმოჩნდა.

სამე იქამდე მივიდა, რომ მატარებლის უფროსი იძულებული გახდა უდანშაულოდ დასჯილი მგზავრებისათვის თავისი სამუშაო კუპე დაეთმო.

საჭიროა ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის ხელმძღვანელებმა წესრიგი დაამყარონ გაგრაში სამგზავრო ბილეთების გაყიდვაში. ამასთან საჭიროა დაჩქარდეს გაგრის ვაგზლის მშენებლობა, შეიქმნას სადგურზე გამოსული მგზავრთათვის მატარებელთა ლოდინის პირობები — უბრალო ფარდული მაინც გაკეთდეს, რომ მგზავრებმა თავი შეაფარონ.

ნ. მანჯგალაძე,
მილიციის პოლკოვნიკი.

მივიწყებული სტადიონი

1948 წელს ხაშურში ფეხბურთის სტადიონი მოეწყო. ამით კმაყოფილნი იყვნენ როგორც ახალგაზრდები, ისე სპორტის მოყვარული საზოგადოებრიობა. სტადიონზე იმართებოდა შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გავიდა წლები, და სტადიონმა თავისი სახე დაკარგა. ფეხბურთის მოედანზე საჯარიმო და გვერდის ხაზები მოიშალა, იქ უწესრიგოდ ყრია რკინის ნატეხები, საკმაო რაოდენობით არ არის სკამები, რაც არის, ისიც უვარგისია. მაყურებელთა სამართლიან წყენადურს სტადიონის ხელმძღვანელობა ასე უპასუხებს: „სკამები კი არა, ადამიანები ბერდებიანო“.

სტადიონს ადგილზე გულშემატკივარი არა ჰყავს. მისდამი მზრუნველობა ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უნდა იკისროს.

ბ. ცხვირაშვილი.

კომუნისტების პარტია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი სასიცოცხლო ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძირეულ ინტერესებს, წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების ცოცხალ განსახიერებას, კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. კომუნისტების პარტია ხალხთა ისეთი მეგობრობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, რომელიც უმაგალითოა მსოფლიო ისტორიაში. მას თავის წმიდა მოვალეობად მიიჩნია კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებდეს ხალხთა მეგობრობას — ჩვენი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველს, კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა საწინდარს.

* * *

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი იშვა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი მუშებისა და გლეხების და სხვა ეროვნებათა მშრომელების მრავალსაუკუნოვან ერთობლივ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და საერთო შინაგანი მტრების — მეფის, მემამულეების, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა რუსეთის მუშათა კლასი, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებმა ისტორიაში პირველად საიმედო ხელმძღვანელი პოვეს მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ბრძოლაში. რუსეთის პროლეტარიატის მებრძოლმა მარქსისტულმა პარტიამ, ბოლშევიკების პარტიამ, თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე გააჩაღა შეუპოვარი და თანმიმდევრული ბრძოლა ძველი სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა და ეროვნული განკერძოებულობის სამყაროს წინააღმდეგ, ახალი სამყაროსათვის, ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროსათვის, რომელშიც არ შეიძლება იყოს არავითარი პრივილეგია ამა თუ იმ ერისათვის, არავითარი ჩაგვრა ადამიანისა ადამიანის მიერ.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა, ერთი დაკვრით დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, გაუმინდა ნიადაგი ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობისათვის. მან მოუპოვა რუსეთის მუშათა კლასს სხვა ეროვნების თავისი ძმების ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და აზიაშიც.

1922 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა იყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა უკრაინის, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციისა და საბჭოთა ბელორუსიის თავისუფალი ხალხების ნების ნებაყოფლობითი გამოვლინების აქტი, ხალხებისა, რომლებმაც თავიანთი ძალები შეაკავშირეს მტრული იმპერიალისტური გარემოცვის წინააღმდეგ და გააერთიანეს თავიანთი მატერიალური და სულიერი რესურსები სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ამჟამად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აერთიანებს თექვსმეტ თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკას, რომლებიც წარმატებით აშენებენ კომუნიზმს.

ეროვნული საკითხის არსი სსრ კავშირის შექმნის მომენტისათვის იმაში მდგომარეობდა, რომ მოგვესპო ზოგიერთი ერის ის ფაქტიური (ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული) ჩამორჩენილობა, რომელიც მათ მემკვიდრეობათ მიიღეს წინანდელი, მემამულურ-კაპიტალისტური წყობილებისაგან, და ამით შესაძლებლობა მიგვეცა მათთვის დასწეოდნენ ცენტრალურ რუსეთს სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მხრივ.

ძმურ კავშირში გაიშალა სსრ კავშირის ყველა ხალხის მძლავრი ძალები. ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრობით განხორციელების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგად ყველა ეროვნულმა რესპუბლიკამ დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების დახმარებით თავი დააღწია ჩამორჩენილობას და აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად გადაიქცა. მაგალითად, აზახეთის სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა 1920 წლის 6,3 პროცენტიდან ომამდელი ხუთწლედების მანძილზე 60 პროცენტამდე გადიდდა. უზბეკეთში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1924 წლიდან 1953 წლამდე 50-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა, ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა 222-ჯერ. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობა, განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, სულ უფრო იფურჩქნება ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

სოციალისტური მშენებლობის პროცესში სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა მასებს სულ უფრო უქრეზოდათ ურთიერთუნდობლობის გრძნობა, უვითარდებოდათ ურთიერთმეგობრობის გრძნობა, მტკიცდებოდა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში. დიად სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა მსვლელობაში, რომლებიც მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გლეხობის, მშრომელ მასებთან კავშირში განახორციელა, ძირეულად შეიცვალა ერთა და ეროვნებათა სახეც. საბჭოთა კავშირში მსოფლიოში პირველად ჩამოყალიბდნენ და განმტკიცდნენ ახალი, სოციალისტური ერები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან.

ბურჟუაზიული ერების საწინააღმდეგოდ, რომელთა ეკონომიურ საფუძველს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება შეადგენს, რაც ჰყოფს ადამიანებს და წარმოშობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სოციალისტური ერების ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, რაც აახლოებს ადამიანებს და გამორიცხავს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის შესაძლებლობას.

ბურჟუაზიული ერებისაგან განსხვავებით, რომლებსაც შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობები ღრღნის, სოციალისტური ერები თავისუფალი არიან კლასობრივი შეჯახებებისაგან და ვითარდებიან მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე. ყველა საბჭოთა ადამიანი — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები შეკავშირებული არიან კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ერთიან, ერთსულოვან კოლექტივად.

* * *

კომუნისტების პარტიის ნებით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა გმირული ღონისძიებებით შექმნილი მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფო ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ და საბჭოთა წყობილების სხვა მტრების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

ისტორია უცილობლად მოწმობს, რომ ტროცკისტებისა და ბუხარინელების გაუნადგურებლად საბჭოთა ადამიანები ვერ მოამზადებდნენ სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის საჭირო პირობებს. ისტორია აგრეთვე ცხადყოფს, რომ ყველა ჯურის ნაციონალ-უკლონისტთა გაუნადგურებლად კომუნისტების პარტია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს ვერ აღწრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვერ დაიცავდა სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის დროშას, ვერ ააშენებდა მძლავრ მრავალეროვან სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი რომ გაანადგურა, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი შეაკავშირა ძმურ ოჯახად, აღზარდა ისინი საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეგნების სულისკვეთებით, დაამყარა საბჭოთა ერებისა და ეროვნებების მეგობრული თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში. ყველა ეროვნების მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ზრუნავენ არა მარტო თავიანთი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძირეული ინტერესებისთვისაც.

„ის, რასაც „მხარში დგომის გრძნობა“ ეწოდება, ძლიერ აქვთ განვითარებული ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს, — წერს ცნობილი უკრაინელი პოეტი მაქსიმ რილსკი. — უფრო ფართო მასშტაბით სწორედ ამას ეწოდება ხალხთა მეგობრობა.

ხალხთა მეგობრობა იყო დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე საიმედო საწინდარი. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, უზბეკები, ტაჯიკები, ყაზახები, ბაშკირები იცავდნენ მოსკოვს, იბრძოდნენ ლენინგრადისათვის, სტალინგრადისათვის, კიევისათვის, მინსკისათვის, სევასტოპოლისათვის, ოდესისათვის...

ყოველთვის ერთად — ბრძოლის ველზე, შრომის ასპარეზზე, — ასეთია მრავალეროვანი და ერთიანი საბჭოთა ხალხის დევიზი“ („პრავდა“, 1953 წლის 7 ნოემბერი).

კომუნისტური პარტიის მიერ გამოჭედილმა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევმა მეგობრობამ გაუძლო უდიდეს განსაცდელს ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში და ახლა ახალი კეთილმყოფელი შედეგები მოაქვს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ყველა ღონისძიებით განამტკიცებს რა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას და ნერგავს საბჭოთა პატრიოტიზმს, კომუნისტების პარტია შეურიგებელ ბრძოლას ეწევა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისაგან, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკისაგან, საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების პოლიტიკისაგან ყოველგ

კვალიფიციურ მუშებს—ღირსეული ცვლა

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენცია.

შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში გასული სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ჩიხლაძემ.

1953-54 სასწავლო წელს მუშაობდა შრომითი რეზერვების 33 სასწავლებელი და სკოლა, რომლებშიც ათასობით ახალგაზრდა სწავლობდა.

თანამედროვე წარმოების ტექნიკისა და შრომის პროგრესული მეთოდების მესწავლის შედეგად ბევრგან გაუმჯობესეს მეცადინეობის ხარისხი და წარმატებით მოაწყეს მოსწავლეთა სწავლება. მოწინავე სასწავლებლებსა და სკოლებში კი საწარმოო სწავლებაში დანერგეს ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრა, სამშენებლო სამუშაოთა მაღალნაყოფიერი ხერხები. ასეთ სასწავლებლებს ეკუთვნიან № 3, № 4, № 11, № 17 სახელოსნო და № 5 სპეციალური სახელოსნო სასწავლებლები. საგრძნობლად განმტკიცდა სასწავლებლებისა და სკოლების სასწავლო-საწარმოო ბაზა. ამჟამად მუშაობს ასამდე სახელოსნო 2,034 სასწავლო ადგილით. სასწავლებლებში არის 769 ლითონსაჭრელი ჩარხი და მანქანა.

წელს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების მომზადების დავალება მთლიანად შესრულდა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებიდან წარმოებას გადაეცა მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი.

მაგრამ ამასთან ზოგიერთი სასწავლებლის (№ 16, № 15, № 12, № 7 სახელოსნო და № 1 რკინიგზის სასწავლებლები), ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ საწარმოო სწავლების მოწყობის მნიშვნელობას, სუსტად ხელმძღვანელობენ სასწავლო პროცესს, კონტროლს არ უწევენ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებას. ცუდად ინარჩუნებენ მოსწავლეთა კონტინგენტს საფაბრიკო-საქარხნო სწავლებისა და სამთოსამრეწველო სკოლებში.

მიმდინარე წლიდან შრომითი რეზერვების სისტემაში დაიწყო სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადება. ხოლო 1954-1955 სასწავლო წელს გაიხსნება ამ დარგის ტექნიკური სასწავლებლები.

დიდ დახმარებას უწევენ სახელოსნო სასწავლებლებს საბაზო საწარმოები, კერძოდ, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნები.

მაგრამ ჯერ კიდევ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არა აქვთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებს. პრაქტიკული მეცადინეობის მოსაწყობად, ინდივიდუალური საწვრთნელი ვარჯიშისათვის არ ჰყოფნით კომბაინები, ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და სპბჭოთა მეურნეობების სამინისტროები არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას მექანიზაციის სასწავლებლებისთვის გამოყოფილი მოწყობილობის გადაცემის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23 ამხანაგმა.

— მიუხედავად იმისა, — განაცხადა დიღმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლის დირექტორმა ამხ. დ. მგელაძემ, — რომ შრომითი რეზერვების სისტემაში გადასვლის შემდეგ გაუმჯობესდა სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობა, ჯერ კიდევ სუსტია საწარმოო-ტექნიკური ბაზა. არსებული მანქანა-იარაღები მხოლოდ 25 პროცენტით აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებას. არა გვაქვს სახელოსნო და სამეცადინო ნელი ტემპით მიმდინარეობს სასწავლო კორპუსის, საადალოს, საერთო საცხოვრებლისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა. უზრუნველყოფილი არა ვართ ლიტერატურით მშობლიურ ენაზე.

მგელაძე მოითხოვს, რომ სამმართველოს მეთოდ-კაბინეტთან შეიქმნას მექანიზაციის მუშაკთა სექცია.

სასწავლებლის მიერ ახალი სახის პროდუქციის — ლითონდასამუშავებელი სატეხი და სახვრეტი ჩარხების გამოშვებაზე მუშაობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა თბილისს № 5 სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატმა ვ. მიშინმა.

ხათუმის № 1 სპეციალური სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ ამხ. ა. წილოსანმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ სასწავლებელი თანხების დაგვიანებით გამოყოფის გამო მოუმზადებელი ხვდება ახალ სასწავლო წელს. დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო შენობის რემონტი, აკლიათ იარაღები და მოწყობილობა. სასწავლებლის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ არ იციან, თუ რომელი პროფილის სპეციალისტები უნდა მოამზადონ.

ზოგიერთი პედაგოგი და საწარმოო სწავლების ოსტატი, — თქვა თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თანაშემწემ კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამხ. ვ. გუჯაბიძემ, — თავის მოვალეობად თვლის მხოლოდ გაკვეთილები გადასცეს, ხოლო მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობაზე, მათს აღზრდაზე კი არ ზრუნავს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, რომლის ბაზაზეც ჩვენი სახელოსნო სასწავლებელი არსებობს, გამოგვაყო სახსრები ახალი ინვენტარის საყიდლად, მაგრამ შრომითი რეზერვების სამმართველო არ გვეხმარება ავეჯის შეძენაშიო, — განაცხადა № 4 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ამხ. გ. ნოდიამ.

არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კონფერენციამ ფართო ღონისძიებანი დასახა.

თბილისის საიუველირო ფაბრიკის გალვანური საამქროს მუშები გეგმებს 210-220 პროცენტით ასრულებენ. სურათზე: ა. ელიზბარაშვილი (მარჯვნივ) და ე. სარქისიანი ვერცხლის ნაკეთობათა მოოქროვების დროს.

ფოტო შ. გოკაძისა.

ეთნოგრაფიული ექსპედიცია თიანეთში

ამ დღეებში თიანეთს ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის თინა ოჩიაურის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მიზანია შეკრიბოს მასალები ხალხის როგორც ძველ, ისე ახალ, სოციალისტურ ყოფასა და კულტურაზე, მოსახლეობის ეთნოგენეზისის, აგრეთვე ძველი და ახალი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესახებ. გარდა ამისა, ექსპედიცია აგროვებს დამატებით ცნობებს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკისათვის.

ექსპედიცია აწარმოებს მოპოვებული მასალების ფოტოფიქსაციას, კულტურის ძეგლთა არქიტექტურულ აგებვას. („კომუნისტის“ კორ.).

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

შეჯამებულია სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები მიმდინარე წლის მეორე კვარტალში.

პირველი ადგილები და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები ამ კვარტალშიც შეინარჩუნეს სამტრესტის თბილისის № I ღვინის ქარხნის და საქართველოს მინერალური წყლების ტრესტის ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივებმა.

მეორე საკავშირო პრემიები მიიცეს ქუთაისის საკონსერვო ქარხანას და ლაითურის ჩაის ფაბრიკას.

მესამე საკავშირო პრემიები მოიპოვეს: სამტრესტის ქუთაისის ღვინის ქარხნების სამმართველომ, წყალტუბოს ჩაის ფაბრიკამ და ავჭალის შუშის ქარხანამ.

ფაშიზმის მარწუხში

ამ რამდენიმე დღის წინ ამერიკის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა სენატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულ შტატებში კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს კანონპროექტი 10 ათასი დოლარი ჯარიმით ან ათი წლის პატიმრობით ემუქრება ყველას, ვინც მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის შემდეგ კომუნისტური პარტიის წევრად დარჩება. 24 აგვისტოს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა დაამტკიცა ეს კანონპროექტი და მას კანონის ძალა მიანიჭა.

ოდესღაც ასეთი ანტიკომუნისტური კანონის მისაღებად ჰიტლერს რაიხსტაგის ხანძარი დასჭირდა, ხოლო ბულგარელმა ფაშისტებმა სოფიის ცნობილი ტაძარი აიფეთქეს, რათა ეს დანაშაული კომუნისტებისათვის დაებრალებინათ.

შეერთებულ შტატებში თეორი სახლისთვის არავის არ წაუკიდებია ცეცხლი, არც თავისუფლების ქანდაკების აფეთქება უცდია ვისმე. პროვოკაციის ასეთ ხერხს ახლა იქ მეტად პრიმიტიულად თვლიან.

„ამერიკული ფაშიზმი, — აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1935 წელს გიორგი დიმიტროვი, — ცდილობს კონსტიტუციისა და „ამერიკული დემოკრატიისათვის“ მებრძოლად გვიჩვენოს თავი. ის ჯერ კიდევ უშუალოდ არ წარმოადგენს საშიშ ძალას. მაგრამ თუ იგი შეაღწევს ძველი ბურჟუაზიული პარტიებით იმედგაცრუებულ ფართო მასებში, უახლოეს დროში შეძლებს გადაიქცეს სერიოზულ საფრთხედ“.

სწორედ ამიტომ შეერთებულ შტატებში წლების მანძილზე დაბეჯითებით შეხამავდნენ და შხამავენ საზოგადოებრივ აზრს „კომუნისტური შეთქმულების“, „კომუნისტური აგრესიის“ და სხვა ასეთი „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ უაზრო მონაჟორით. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ცილისმწამებლურად შეთითხნილი მრავალი სასამართლო პროცესის სენსაციური გახმაურებაც.

ამერიკის კომუნისტური პარტია, რომლის არსებობის 35-ე წლისთავი დღეს სრულდება, გმირულად იბრძვის ქვეყნის შიგნით გამეფებული პოლიციური თვითნებობისა და სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. ჰიტლერის ამერიკელი მომდევრები ყოველ ღონეს და ხერხს მიმართავენ მის გასაწადგურებლად.

კანონი ამერიკაში კომპარტიის აკრძალვის შესახებ სხვა არა აბის რა, თუ არა უკანასკნელ წლებში შეერთებულ შტატებში გაჩაღებული ანტიკომუნისტური კამპანიის ლოგიკური შედეგი. ამერიკულმა იმპერიალიზმმა საბოლოოდ ჩამოიხსნა „დემოკრატიული“ ზღვილ-პიპლები და თავისი კაცთმოძულე, სისხლიანი სახე გამოაჩინა.

კიდევ უფრო აშკარა გახდა იმ „თავისუფლებათა“ მთელი სიყალბე და არარაობა, რითაც ასე ურცხვად მოაქვთ თავი „ცხოვრების ამერიკული წესის“ ვიწროშუბლიან აპოლოგეტებს.

ცნობილი გერმანელი მწერალი ლიონ ფეიხტვანგერი თავის დროზე ასე ახასიათებდა გერმანული ფაშიზმის მესვეურებს: „უგუნური და ყალბი იყო ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ ან უბრძანებდნენ მესამე იმპერიის ხელისუფალნი. ყალბი იყო მათი სიტყვები და ყალბი იყო მათი დუმილიც... ყალბი იყო მთელი მათი წყობილება, ყალბი იყო მათი კანონები, ყალბი იყო მათი განაჩენი, ყალბი იყო მათი გერმანული ენა, მეცნიერება, სამართალი, რწმენა... ყველაფერი ყალბი იყო. მხოლოდ ერთში იყო სიმართლე: მათს სიძულვილში“.

ეს სიტყვები ზედმიწევნით ახასიათებს ამერიკული ფაშიზმის მებაირახტრეთა მთელ მოღვაწეობასაც, რომლებიც ცდილობენ ამოეფარონ კონსტიტუციისა და „ამერიკული დემოკრატიის“ ჟამთა მსველობით დაფხრეწილ ფარდას.

17 აგვისტოს გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, თითქოს იგი ამ კანონპროექტთან დაკავშირებით „ერთგვარ შეშფოთებას განიცდის“. „გაუგებარია,—თქვა მისთვის ჩვეული ფარისევლობით ეიზენჰაუერმა,—როგორ შეიძლება აკრძალოთ კომპარტია და ამავე დროს ეზრუნავდეთ ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის“.

რა თქმა უნდა, ამერიკის დღევანდელ ვითარებაში სენატის ამ საკანონმდებლო აქტს არავითარი გაუგებრობა არ გამოუწვევია. არ იწვევს გაუგებრობას არც ეიზენჰაუერის ზემოთქმული სიტყვები. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ეს ნიანგის ცრემლები იყო. იგი ალბათ ასევე ზრუნავდა ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, როცა განკარგულებას იძლეოდა ეტელ და ჯულიუს როზენბერგების დახოცვის შესახებ; იგი ალბათ ასევე ზრუნავს ამერიკის კომპარტიის იმ 115 ლიდერის თავისუფლებისათვის, რომლებიც აი-უკვე რამდენი წელია იტანჯებიან ამერიკული ციხეების ჯურღმულებში; იგი ალბათ ასევეა მზრუნველობით არის გამსჭვალული უბრალო ამერიკელთა მიმართ, რომელთა უფლებები დღეს მან კალმის ერთი მოსმით არარაობად აქცია.

ამბობენ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ყვავილები უყვარსო, ყოველ შემთხვევაში ხშირად ხედავენ მისი ფრაკის ღილკილოში გაკეთებულ თეთრ კამელიას. მაგრამ ყვავილების ტრფიალი როდი უშლის მას ეშფოტზე გაგზავნოს ყოველად უდანაშაულო, პატიოსანი ადამიანები, ან სიძულვილის გრძნობით აენთოს გული ყველას მიმართ, ვისაც კი სიტყვა დასცდება თავისუფლებასა ან პირთვნების ხელშეუხებლობაზე.

ეს სიძულვილი გამოხატავს დღევანდელი ამერიკის ბედის გამგებელთა მთელ იმ სულიერ სამყაროს, რაც ასე ნათლად ვლინდება სენატის საკანონმდებლო აქტებსა ან ბოლიციელის რევოლვერის გასროლაში.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინამორბედმა „დემოკრატმა“ ტრუმენმა 50-ტონიან რკინის უთუში „შეინახა“ შეერთებული შტატების კონსტიტუციის ორიგინალი. პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ერთსულოვნად შეაფასა ეს აქტი როგორც იმ ქვეყანაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა ოფიციალური დამარხვა.

შეერთებულ შტატებში თავაწყვეტილი რეაქცია თარეშობს. ფაშიზმის სისხლიან მარწუხში ეხუთება სული ყოველივე პროგრესულს, მოწინავეს, ადამიანურს.

კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, ყველაფერი საუკეთესო, რაც ასეული წლების მანძილზე შეუქმნია ადამიანის გონებას, დღეს ამერიკაში არა მარტო ცხოვრების ზედმეტ ატრიბუტად ითვლება, არამედ მათ წინააღმდეგ ჯვაროსნული [illegible] ბული.

სან-ფრანცისკოს, ჩიკაგოს, თოლედოელფიის, ატლანტისა [illegible] ნებაზე კვლავ [illegible] გამოძიების ფედერალური ბიურო და „ანტიამერიკული საქმიანობის“ გამოძკვლევი კომისია შეუსვენებლად განაგრძობენ „წითლებზე“ ნადირობას. დაამთავრეს რა თავიანთი ამასწინანდელი ლაშქრობა ჰოლიუდზე, ახლა ისინი პროფკავშირების, კოლეჯების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების „წმენდას“ შეუდგნენ. ტერორისტული ბანდები, რომლებითაც დღეს სავსეა ამერიკა, დაუნდობლად ხოცავენ შეერთებული შტატების ზანგ მოქალაქეებს, მოწინავე მუშებს, პროგრესულად განწყობილ ინტელიგენტებს, და ყველაფერი ეს კეთდება „ანტიამერიკული საქმიანობისა“ და „კომუნისტური საფრთხის“ წინააღმდეგ ბრძოლის უბადაღებული რეკლამით.

რეაქციის გამძვინვარება შეერთებულ შტატებში იმას მოწმობს, რომ ამერიკის მმართველი წრეები შეშფოთებული არიან ხალხთა მასების მზარდი წინააღმდეგობით ქვეყნის შეიდგომი მილიტარიზაციისა და მშრომელთა ძარცვის პოლიტიკის მიმართ. ისინი ემზადებიან იმისათვის, რომ ლახვარი ჩასცენ ამ ქვეყანაში მოქალაქეობრივ თავისუფლებათა უკანასკნელ ნაშთებს.

ამერიკული ფაშიზმის დღევანდელ მეინახეთა „ძალის პოლიტიკა“, მიმართული სხვა ხალხებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, იმ „პოლიტიკის“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც პოლიციელის ხელკეტმა და განგსტერის ტყვიამ დაამკვიდრა შეერთებული შტატების შიგნით, და თუ ფაშიზმის ამ სასტიკი ტერორის პირობებში უბრალო ამერიკელი ჯერ კიდევ დუმს, ეს სრულებითაც არ წარმოადგენს „თანხმობის ნიშანს“ და, მით უფრო, ფაშიზმისათვის აქტიური მხარდაჭერას.

ამერიკელ ხალხს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს, კარგად ახსოვს, რა უბედურება მოუტანა ფაშიზმმა კაცობრობას, ახსოვს ჰიტლერულ სიკვდილის ბანაკებში დახვრეტილი და ნაწამები 12 მილიონი ადამიანი, აუშვიცის გაზის კამერებში დამხრჩვალი ათეულ ათასობით სამხედრო ტყვე, მაიდანეკის ღუმელებში დამწვარი ასეულ ათასობით ქალი და ბავშვი...

„ლაასის ფერფლი ბორგავს ჩემს გულში!“ — ამბობს დე კოსტერის ცნობილი წიგნის გმირი ულენშპიგელი, რომელსაც დამპყრობლებმა ცოცხლად დაუწვეს მამა.

ხალხებისათვის გასაგებია ულენშპიგელის ეს გრძნობა.

ჰიტლერიზმის მსხვერპლთა ფერფლი დღემდე ბორგავს მათ გულში, როგორც შურისძიების მგზნებარე მოწოდება.

ამერიკული ფაშიზმის მესვეურნი ვერ წაართმევენ ხალხებს მეხსიერებას. მით უფრო ვერ ჩაკლავენ ამერიკელი ხალხის კეთილშობილურ მისწრაფებას მშვიდობისა და თავისუფლებისაკენ.

მომავალი ეკუთვნის იმ ამერიკას, რომელიც ბოლოს მოუღებს ომსა და ფაშიზმს.

ა. კუსრაშვილი.

მუშაობა დაამთავრა აღმოსავლეთმცოდნეთა 23-ე საერთაშორისო კონგრესმა კემბრიჯში

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკუთარი). 28 აგვისტოს კემბრიჯში დაიხურა აღმოსავლეთმცოდნეთა 23-ე საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა მეცნიერების დიდმა ჯგუფმა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. გუბერის მეთაურობით.

საბჭოთა მეცნიერებმა კონგრესის სექციების სხდომებზე. გააკეთეს 20-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება აღმოსავლეთის ისტორიის, ენებისა და კულტურის სხვადასხვა პრობლემაზე. მოხსენებებმა დელეგატების დიდი ინტერესი გამოიწვია.

გაზეთ „ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც კონგრესის მუშაობას აშუქებდა, წერდა: „საერთო აზრით, საბჭოთა დელეგაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესზე როგორც თავისი მოხსენებების თემებით, ისე საკითხების მეცნიერული დაყენებით. ინგლისის გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ რუსებმა სასარგებლო წვლილი შეიტანეს კონგრესის მუშაობაში“.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ სარედაქციო სტატიაში წერდა, რომ კონგრესის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ მან ცხადყო საბჭოთა კავშირში აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების მასშტაბები.

კონგრესის დელეგატებმა დიდი ყურადღებით ნახეს დოკუმენტალური ფილმები, რომლებიც ცხადყოფენ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების აყვავებას. ფილმების ჩვენების დროს დარბაზი სავსე იყო ხალხით.

კონგრესზე დიდი მოთხოვნილება იყო საბჭოთა ლიტერატურაზე აღმოსავლეთმცოდნეობის საკითხების შესახებ. ბევრმა დელეგატმა ლიტერატურა შეუკვეთა იმ უნივერსიტეტების, ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ კონგრესზე.

ახალი სასწავლო წელი

გ. ჯიბლაძე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ასეულ ათასობით ბავშვი შეაღწევს დღეს სკოლის კარებს, ათეულ ათასობით ახალგაზრდა დაიკავებს უმაღლესი სკოლის აუდიტორიებს და დაიწყება ახალი სასწავლო წელი!

ბევრი რამ ახალი მოაქვს ახალ სასწავლო წელს სახალხო განათლების ფრონტზე. ჩვენ პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობის შედეგად საბჭოთა სკოლა დღითიდღე უმჯობესებს თავისი მუშაობის შინაარსსა და ფორმებს, დღითიდღე მაღლდება სწავლების ხარისხი, უმჯობესდება ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდა. ამ უაღრესად კეთილშობილური მიზნის განხორციელებას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პირობა.

1954-55 სასწავლო წლის სიახლეთა შორის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების გარდა უნდა მოვიხსენიოთ ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯს მოსწავლეთა ზედმეტი დატვირთვის თავიდან აცილების გზაზე. ეს მომენტი მრავალმხრივ საგულისხმოა, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ქმნის ნაყოფიერ პირობებს მასწავლებლისა და მოსწავლისათვის. პირობები იქმნება, რათა არა მარტო მოსწავლე კარგად ემზადებოდეს გაკვეთილისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მასწავლებელი გრძნობდეს პასუხისმგებლობას და ემზადებოდეს მაღალხარისხოვანი გაკვეთილის ჩასატარებლად. ზოგიერთი მასწავლებელი კი ფიქრობს, რომ მან ყველაფერი იცის, ამიტომ გაკვეთილისათვის მხოლოდ მოსწავლე უნდა ემზადებოდეს; თვითონ, რაკი გარკვეული ცოდნით არის შეიარაღებული, სრულიად მოუმზადებელი რომ შევიდეს გაკვეთილზე, მოვალეობას თავს მაინც გაართმევს. ეს ყოვლად მიუღებელი და მცდარი შეხედულებაა.

მას შემდეგ, რაც XIX პარტიულმა კრებამ მიიღო ისტორიული დადგენილებანი, კერძოდ, მას შემდეგ, რაც არსებობს გადაწყვეტილებანი პოლიტექნიკური განათლებისა და საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ მსხვილ ქალაქებსა და საწარმოო ცენტრებში, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა განუხრელი აღმავლობის გზით მიიმართება. ამ დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მიმდინარე წლის თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებანი. ლაპარაკია სასწავლო პროცესის პოლიტექნიზაციაზე, რაც ჩვენი ერთ-ერთი უაღრესად სისხლხორცეული ამოცანაა. ამიტომ სახალხო განათლების ორგანოებმა, სამინისტროსთან ერთად, ყველა ზომა უნდა მიიღონ პოლიტექნიზაციის ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

სასწავლო პროცესის პოლიტექნიზაციის განხორციელების საქმეში უაღრესად თვალსაჩინო როლს ასრულებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ეს გადაწყვეტილებანი ჩვენგან მოითხოვენ სანიმუშოდ მოვაწყოთ სკოლებში სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობა, შევაყვაროთ ბავშვებს მრავალფეროვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ერთი სიტყვით, შევაყვაროთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. თვითეული სასწავლო დისციპლინა უნდა უღვიძებდეს ბავშვს შრომისადმი სიყვარულს, კერძოდ, უნერგავდეს იმ აზრს, რომ ადამიანი შრომამ შექმნა და შრომის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია.

დღემდე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლი სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას უმთავრესად ვაყვარებდით ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ლიტერატურასა და ისტორიას, ნაკლებად ვზრუნავდით გამოყენებით მეცნიერებათა საფუძვლების ასეთივე მონდომებით შესწავლისათვის. შესაძლოა ეს იყო მიზეზი, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში ეტანებოდა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს, ხოლო შედარებით ნაკლებად ფიზიკა-მათემატიკურ დისციპლინებს. ახალ სასწავლო წელს ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რათა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ბავშვებმა მთელი ენერგიით მოჰკიდონ ხელი გამოყენებით მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებას, განიმსჭვალონ შრომისა და შრომის კულტურისადმი სიყვარულით.

ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორი ახალი სასწავლო დისციპლინის შემოღებას ჩვენს სკოლაში: ხელგარჯილობისა—დაწყებით კლასებში და სასწავლო ნაკვეთისა და სასწავლო სახელოსნოებში პრაქტიკული მეცადინეობისა — მე-5 კლასის მოსწავლეთათვის. ამ საგნების პროგრამები მალე დაიბეჭდება და დაეგზავნება სკოლებს. ამჟამად კი საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოწყობას თვითეულ სკოლასთან.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მთელ რიგ რაიონებში სკოლები ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენენ სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოწყობისადმი, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ მისცენ მათ ნამდვილად სასწავლო-საცდელი ხასიათი. ნაკვეთები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქოს მათთვის არავინ ზრუნავდეს. საჭირო იქნება სასწავლო წლის დაწყებისთანავე თვითეულმა სკოლამ, განათლების განყოფილებამ, რაიონულმა აღმასკომმა და პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განიხილოს სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მდგომარეობა და დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა მასწავლებელი მოწოდებულია თვითონ იძლეოდეს ყოველმხრივ სანიმუშო მაგალითს სკოლასა და საზოგადოებაში; იგი შრომისადმი სიყვარულს, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის განსახიერება უნდა იყოს. საბჭოთა მასწავლებელი უნდა იყოს შეურიგებელი მებრძოლი ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის უდისციპლინობა, საბჭოთა კანონიერების დარღვევა, ლოთობა, ინტრიგა, ცილისწამება. მასწავლებელი ამავე დროს უნდა იყოს კეთილშობილების განსახიერება, თავმდაბლობისა და სისპეტაკის ნიმუში; ყოველდღიური შრომით იგი უნდა იძლეოდეს საბჭოთა პატრიოტიზმის მაგალითებს, ამყოვანებდეს მაღალ კულტურასა და ცოდნას.

ასეთია საბჭოთა მასწავლებელი! მის მოვალეობას წარმოადგენს ღრმად დაეუფლოს მოსწავლეები მეცნიერების ძირითად საფუძვლებს, ამავე დროს გასწიოს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და მოსახლეობაში. ამ მხრივ წელს ჩვენმა სკოლებმა განსაკუთრებული მუშაობა უნდა გასწიონ. მოსახლეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე სამეცნიერო-ათეისტური ხასიათის ლექცია-საუბრებით გამოსვლა თვითეული მასწავლებლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

ბევრი რამ არის დამოკიდებული სკოლის პარტიული ორგანიზაციების უნარიან ორგანიზაციულ და მასობრივ მუშაობაზე. სკოლის პარტიული ორგანიზაცია არა მარტო კონკრეტულად უნდა ხელმძღვანელობდეს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას, ეხმარებოდეს პიონერორგანიზაციას, არამედ სკოლის დირექტორთან და პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად ყოველმხრივ ავითარებდეს პედაგოგთა მთელ კოლექტივში დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას.

პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისათვის ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ. სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცების დარგში. მთელი რიგი სკოლები სასწავლო წელს ახალ სასკოლო შენობებში იწყებენ. გაკეთებულია სასკოლო შენობათა და ინვენტარ-მოწყობილობის როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე რემონტი. შეძენილია სკოლებისათვის ახალი მერხები, დაფები, მაგიდები და სკამები. კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებულია ახალი ხელსაწყოებით.

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეული სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურისა და სასწავლო პროგრამების გამოცემისათვის. 103 სახელწოდების წიგნიდან, ფიზიკის სახელმძღვანელოს გარდა, ყველა უკვე გამოცემულია. წელს, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მოესწრო სასწავლო პროგრამების დაბეჭდვა მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებისათვის. თათბირებზე სიტყვებით გამოსული მასწავლებლები, სახალხო განათლების მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები სამართლიანად აკრიტიკებდნენ ზოგიერთ სამინისტროს აპარატს, ისე მისი ორგანოებისა და სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამ კრიტიკიდან ჩვენ სათანადო დასკვნებს გავაკეთებთ და ყველა ზომას მივიღებთ მხილებული დეფექტების სწრაფად აღმოფხვრისათვის.

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე, სხვა ნაკლოვანებათა შორის, უმეთხვევით არ ყოფილა გამახვილებული ყურადღება მედალოსნების საკითხზე. აღინიშნა ზოგიერთი უარყოფითი მხარე, მახინჯი მოვლენებიც. განათლების სამინისტრო გაითვალისწინებს ამ ნაკლოვანებებს და არ დაკმაყოფილდება მის მიერ უკვე გატარებული ღონისძიებებით.

იმის გამო, რომ მოსწავლეებს დაუმსახურებლად მისცეს ოქროსა და ვერცხლის მედალი, განათლების სამინისტრომ სამუშაოდან მოხსნა ოთხი დირექტორი და ამდენივე მასწავლებელი.

ახალი სასწავლო წლიდან მედალოსნობის საკითხს უფრო სერიოზული ყურადღება მიექცევა. კერძოდ, არც ერთი მედალოსნის საკითხი კოლეგიაზე განხილული არ იქნება, ვიდრე ადგილებზე სკოლებში არ მოეწყობა მედალოსნობას კანდიდატებთან გასაუბრება და არ შემოწმდება მთელი მასალის სიზუსტე.

ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომელსაც მედალი არ ჰქონდა ან გამოცდას ვერ იჭერდა, უმაღლესი სკოლის გარეთ რჩებოდა. მას სკო

იტალიის კომუნისტური პარტიის მომავალი კონფერენციის გამო

რომი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია პარტიის ეროვნული კონფერენციის მოწვევის შესახებ.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ 1954 წლის 30 ივნისისთვის პარტიაში იყო 2.130.095 წევრი, ხოლო იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტურ ფედერაციაში — 423.522 წევრი. 1954 წლის პირველ ნახევარში პარტიაში შევიდა 160.685 კაცი, მათ შორის 53.031 ქალი.

„ეროვნული კონფერენციის ამოცანა ძირითადად ის იქნება, რომ დამთავრდეს:

ა) იმ საქმიანობის განხილვა, რომელიც საერთაშორისო და საშინაო ვითარების ახალ განვითარებასთან დაკავშირებით პარტიამ უნდა განახორციელოს, რათა შეიქმნას ახალი დემოკრატიული ფრონტი, რომელსაც უნარი ექნება შეცვალოს იტალიის პოლიტიკური კურსი; ბ) ადგილებზე ვითარების თავისებურებათა განხილვა, რაც უკვე წარმოებდა პროვინციულ კონფერენციებზე, რათა გამოირკვეს საერთო ამოცანები, რომლებსაც კომუნისტები ამჟამად სახავენ იტალიელი ხალხის წინაშე იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას იმ სერიოზული პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას; გ) პარტიის განვითარებისა და მოღვაწეობის, კერძოდ, მშრომელი მოსახლეობის ყველა კატეგორიასთან, ფამაკაცებთან და ქალებთან, ორგანიზებულ და არაორგანიზებულ მშრომელებთან, მოზრდილებთან და ახალგაზრდობასთან კომუნისტების ურთიერთობის გაფართოებისა და კონტაქტის ეფექტიანობის პრობლემების განხილვა; დ) პარტიის საორგანიზაციო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა მისი პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად, კერძოდ, იმ ამოცანის შესაბამისად, რომელიც ეხება მუშაობის მეთოდებსა და შინაპარტიულ დემოკრატიას, პარტიული ფედერაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ორგანიზაციასა და მუშაობას; ე) განხილვა კომუნისტთა კადრების პოლიტიკური და იდეოლოგიური, მასობრივი და ინდივიდუალური აღზრდის დარგში მუშაობის კონკრეტული გეგმისა, რათა ხელმძღვანელთა შორის და, მაშასადამე, ყველა აქტივისტთა შორის ამაღლდეს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ცოდნის; ჩვენი პარტიის ისტორიის, პროგრამის, ტაქტიკისა და სტრატეგიის ცოდნის დონე...“

რეზოლუციაში დასახულია მომავალ კონფერენციაზე დისკუსიის თემები. უმთავრეს საგარეოპოლიტიკურ საკითხებად, რომლებიც განხილულ იქნას, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია „შედეგები საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ახასიათებს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა“, „ისეთ ღონისძიებათა გამოძებნა, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებიდან ახალი ძალების გაერთიანებას ბრძოლაში „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ, უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე სრულიად ევროპის კონფერენციაში იტალიის მონაწილეობისათვის, ევროპის ყველა ხალხის თანამშრომლობისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა იტალიისათვის მშვიდობასა და დამოუკიდებლობას“.

აღდგენითი სამუშაოები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადმოგვცა, ქალაქ კიმჩაკის მეტალურგიულ ქარხანაში მწყობრში ჩადგა დიდი საგლინავი დგანი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ქარხანას 20 პროცენტით გაედიდებინა ნაგლინის გამოშვება. ეს საგლინავი დგანი, რომელიც საოთალავით მესამეა ქარხანაში, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თავდადებული შრომის მეოხებით მწყობრში ჩადგა ვადაზე ერთი თვით ადრე.

ნორვეგიული გაზეთები საბჭოთა სპორტსმენების ნარმადგენლობათა შესახებ

ოსლო, 30 აგვისტო. (საკდესი). ნორვეგიული გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ შედეგებს, რომლებიც საბჭოთა მძლეოსნებმა ევროპის პირველობაზე შეჯიბრებაში მოიპოვეს. გაზეთი „მორგენბლადეტი“ წერს: „სსრ კავშირმა ყველას და ყველაფერს გადააჭარბა... რუსეთის ძლიერი გუნდი ყოველმხრივ უპირატესობას იჩენდა მძლეოსანთა შეჯიბრებაში ევროპის პირველობაზე“. გაზეთი „არბეიდერბლადეტი“ წერს, რომ რუსი მორბენალის ვლადიმერ კუცის გამარჯვება 5 ათას მეტრ დისტანციაზე „ფენომენალური“ იყო. „მისი სირბილი, უნდა ითქვას, უფრო ბრწყინვალე იყო, — შენიშნავს გაზეთი, — ვიდრე ზატოპეკის სირბილი“.

გაზეთი „სპორტსმანენი“ აცხადებს, რომ კრიეონოსოვს „ეჭვი არ დაუტოვებია, რომ იგი ევროპის ღირსეული ჩემპიონია უროს ტყორცნაში“. ეს 20 წლის ასაკის სპორტსმენი, შენიშნავს გაზეთი, უეჭველია, უკეთეს შედეგებს მოიპოვებს მომავალში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის წინააღმდეგ

დელი, 30 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის პრესა კვლავ აქცენტებს კრიტიკულ კომენტარიებს ფილიპინების მომავალი კონფერენციის შესახებ, რომელსაც იწვევენ ამერიკის შეერთებული შტატები, რათა შექმნან სამხედრო ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ წერს: „8 ქვეყნის კონფერენცია, რომელიც სექტემბერში გაიმართება მანილაში, რათა განიხილოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის (სეატო) გეგმა, როგორც ჩანს, გარდა დალესისა, ვერავის ვერ დაკმაყოფილებს...“

გაზეთი აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა ერთხელ მიუღიათ აზიის „დამცველთა“ პოზა. „მაგრამ როცა დიპლომატებს, — წერს გაზეთი, — თავი მოაქვთ წმინდანებად, ხოლო სამხედრო სტრატეგები ცდილობენ ვინმე დაცვას მისი ნების წინააღმდეგ, სავსებით მართებულია ეჭვით მოვკიდოთ ამ თვითმარქვია დამცველებს“. „სავსებით ცხადია, — განაგრძობს გაზეთი, — რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი შესაძლებლობას მისცემს დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოს, განსაკუთრებით ამერიკას, ჩაერიოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების საქმეებში“.

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს ეროვნულ კრებაში დაიწყო საერთო კამათი კანონპროექტზე „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

კამათის დაწყებამ, უეჭველია, დამარცხება იყო „ევროპის არმიის“ მომხრეებისა, რომლებიც ცდილობდნენ გადაედოთ კამათი. „ევროპის არმიის“ მომხრეებმა შეიტანეს რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვდნენ გადაედოთ ხელშეკრულების განხილვა და განეახლებინათ მოლაპარაკება „ევროპის თავდაცვით გაერთიანებაში“ საფრანგეთის პარტნიორებთან. ხელშეკრულების მოწინააღმდეგეებმა ამაზე უპასუხეს „წინასწარი საკითხით“, რომელიც მათი სახელით შეიტანა დეპუტატმა ომერანმა. ეროვნული კრების მიერ ამ „წინასწარი საკითხის“ მოწონება ნიშნავდა განხილვის შეწყვეტას და ამით „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების უარყოფას. პროცედურის წესების თანახმად, „წინასწარი საკითხი“ განიხილება პირველ რიგში და, მაშასადამე, კამათის გადადების შესახებ რეზოლუციებზე აღრე, რომლებიც „ევროპის არმიის“ მომხრეებმა შეიტანეს. ამ უკანასკნელებმა, იგრძნეს რა, რომ მათი პოზიციები მტკიცე არ არის, პროტესტი გამოთქვეს და განაცხადეს, რომ ომერანის წინადადების მიღება „ჩაახშობს დისკუსიას იმ დროს, როცა იგი ეს არის დაიწყოო“.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მთავრობის მოთხოვნით კამათის გადადების შესახებ რეზოლუციების ავტორებმა, აგრეთვე ომერანმა დროებით მოხსნეს თავიანთი წინადადებანი. ასეთ ვითარებაში ეროვნულმა კრებამ გუშინ საღამოს დაიწყო საერთო კამათი. პირველი გამოვიდა „სოციალური რესპუბლიკელი“ ლებონი (დეგოლელთა ყოფილი ჯგუფი). მან მკვეთრად გააკრიტიკა ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ. ლებონმა გადაჭრით უარყო მტკიცება, რომ ამ ხელშეკრულების უარყოფის შემთხვევაში საფრანგეთი თითქოს იზოლირებული აღმოჩნდება, ხოლო დასავლეთი გერმანია შეიარაღებულ იქნება საფრანგეთის დაუკითხავად. „ეს უსაფუძვლო მოსაზრებაა, — თქვა მან. — თუ საფრანგეთი არ დათანხმდა, შეუძლებელია გერმანიის შეიარაღება. რაც შეეხება იზოლაციას, მე ვერ წარმომიდგენია უფრო გამოუსწორებელი იზოლაცია, ვიდრე ბრიუსელში იყო, საღაც ხუთი ქვეყანა გაერთიანდა ჩვენს წინააღმდეგ“. ლებონის აზრით, „ევროპის არმიის“ შექმნა შეუძლებელს გახდის შემდგომ მოლაპარაკებას აღმოსავლეთთან და გამოიწვევს საფრანგეთის არმიის დაქუცმაცებას.

შემდეგ სიტყვა აიღო „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ერთ-ერთმა ყველაზე თავგამოდებულმა მომხრემ, მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ რენე მეიერმა (რადიკალი). მან ვერ მოიყვანა ვერავითარი დამაჯერებელი მოსაზრება ხელშეკრულების მკვეთრი გაკრიტიკების წინააღმდეგ, რასაც შეიცავდნენ პარლამენტის კომისიების მომხსენებელთა სიტყვები, და მხოლოდ გაიმეორა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების მომხრეთა არგუმენტაცია.

რენე მეიერი ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა დეპუტატებზე იმით, რომ მოაგონა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. „დიე ეროვნული კრება, — თქვა მან, — დაუფიქრდეს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს მოკავშირეთა პოზიციაზე ჩვენი უარი ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაზე...“

შემდეგ გამოსულმა დეპუტატმა კოსტ-ფლორემ („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ წევრი) აგრეთვე ილაპარაკა ხელშეკრულების დასაცავად და გაიმეორა ზოგიერთ წრეში გავრცელებული ზღაპრები „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ. მიუხედავად ამისა, კოსტ-ფლორემ განაცხადა, რომ ხელშეკრულება „სრულყოფილი“ არ არის და რომ იგი და მისი პოლიტიკური თანამოაზრეები დაეთანხმებოდნენ ხელშეკრულების ერთგვარ „გაუმჯობესებას“.

ამით სხდომა დაიხურა. კამათის განგრძობა გადატანილ იქნა 30 აგვისტოს ღილის სხდომაზე.

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით ეროვნული კრების სხდომის დასაწყისში „ევროპის არმიის“ ერთ-ერთმა მომხრემ მემარჯვენე პარტიის „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის“ წევრმა შიუპენმა კვლავ შეიტანა რეზოლუცია, რომლის მიზანი იყო კამათის გადადება და მოლაპარაკების განახლება ხუთ ქვეყანასთან, რომლებმაც საფრანგეთთან ერთად ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას.

ამრიგად, რამდენადაც დარღვეულ იქნა პოლიტიკური პარტიების შეთანხმება, რომ მოიხსნას ყველა „წინასწარი“ წინადადება და დაიწყოს კამათი, დეპუტატმა ომერანმა „ევროპის არმიის“ მოწინააღმდეგეთა სახელით კვლავ შეიტანა თავისი „წინასწარი საკითხი“. ღილის სხდომა გადაიდო.

საგარეო საქმეთა კომისიამ, რომელიც შექმნილი მდგომარეობის განსახილველად შეიკრიბა, 24 ხმით 20 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეკომენდაცია კენჭის საყრელად დაისვას ომერანის „წინასწარი საკითხი“.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მომხრეთა ახალი მანევრი, რომლის შედეგად კამათი არსებითად შეწყდა და იწყება „წინასწარ“ წინადადებათა განხილვა, უწინარეს ყოვლისა მოწმობს დიდ არევდარევას მათს რიგებში. პარლამენტში „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხის ორი დღის განხილვამ ცხადყო, რომ დეპუტატთა უმრავლესობა გადაჭრით უარყოფს ამ ხელშეკრულებას.

როცა 15 საათზე ადგილობრივი დროით ეროვნული კრების სხდომა განახლდა, სიტყვა მიეცა საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს სოციალისტ დანიელ მეიერს. მეიერმა აღნიშნა „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების მომხრეთა მანევრების „არაჩვეულებრივი ხასიათი“ და თქვა, რომ მათთვის უკანასკნელი შანსია კამათის გადადება. მან „ევროპის არმიის“ მომხრეებს ბრალად დასდო, რომ ისინი ხელს უშლიან ამ პრობლემის ნორმალურ განხილვას და განაცხადა, რომ ომერანი უკან წაიღებს თავის წინადადებას, თუ შიუპენი ასევე მოიქცევა.

დანიელ მეიერმა ევროპის არმიის მომხრეთა მოქმედებას „უღირსი“ უწოდა და მოითხოვა, რომ ეროვნულმა კრებამ მთელი სიცხადით გამოთქვას აზრი და თავიდან აიცილოს შემდგომი გაჭიანურება.

შემდეგ ილაპარაკა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა. მან განაცხადა, რომ მთავრობა არ მიიღებს მონაწილეობას დეპუტატ ომერანის „წინასწარ საკითხზე“ კენჭისყრაში, რადგან მთავრობას არა სურს თავისი ავტორიტეტი დაუკავშიროს პარიზის ხელშეკრულებას მისი ახლანდელი სახით, რამდენადაც ეს ხელშეკრულება გათიშვას წარმოშობს პარლამენტსა და საფრანგეთში. მენდეს-ფრანსმა განაცხადა, რომ მთავრობა მზად არის მხარი დაუჭიროს შიუპენის რეზოლუციას და თქვა, მე ვამჯობინებ, რომ ორივე წინადადება — ომერანისა და შიუპენისა — მოიხსნას და კამათი გაგრძელდესო.

მაგრამ წინასწარი რეზოლუციები არ მოხსნილა. უფრო მეტიც, ეროვნული კრების სპეტიო თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ ხელი მოაწერა ომერანის წინადადებას და სიტყვა ითხოვა ამ წინადადების დასაცავად. (ერიო ადგილიდან ლაპარაკობდა, რადგან ვერ შეძლო ტრიბუნაზე ასვლა). მან განაცხადა, ჩემი აზრით, მარტო ის ფაქტი, რომ ინგლისს არა სურს მონაწილეობა მიიღოს „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“, საკმარისია იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულება უარვყოთ. მით უმეტეს, თქვა მან, არ შეიძლება დაეეთანხმოთ სუვერენიტეტის შეზღასვას, რასაც ხელშეკრულება საფრანგეთს უმზადებს. ერიომ „სასაცილო და საშინელი“ უწოდა ხელშეკრულების მე-20 მუხლს, რომელიც კომისარიატს („ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელმძღვანელი ორგანო) წევრებს უკრძალავს ინსტრუქციები მიიღონ თავიანთი ქვეყნებისაგან და წინადადებას აძლევს მათ დაივიწყონ თავიანთი მოქალაქეობა, რათა იხელმძღვანელონ „ზეეროვნული“ სულისკვეთებით. „მაშინ ვინ იქნებოდნენ ეს უთვისტომო კომისრები ზეკაცები თუ რობოტები? — იკითხა ერიომ. — რაც მე შემეხება, უნდა ვთქვა, რომ ევროპის თავდაცვითი გაერთიანება საფრანგეთის ოსსასრულად მიმაჩნია“. „ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, — მელიც ჩვენ გვთიშავს, — განაგრძო ერიომ, — უმჯობესია გაიკვეთოს საფრანგეთის პოლიტიკის ეს ჩირქოვანი მუწუკი და ერთბაშად დამთავრდეს კამათი. უნდა გამოვძებნოთ ევროპის სადავო საკითხთა შშვიდობიანი გადაწყვეტა და მოვამზადოთ არა ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, არამედ სხვა ევროპა, დარაზმული, რომელიც დამყარებული იქნება გერმანიასთან, აგრეთვე რუსეთთან დაახლოებაზე. ევროპის თავდაცვითი გაერთიანება ავანტიურა იქნება. ხელი აიღეთ მასზე!“.

ედუარდ ერიოს სიტყვის შემდეგ, რომელმაც არაერთხელ გამოიწვია ტაში სხდომათა დარბაზში, სიტყვა მიეცა სოციალისტ კრისტიან პინოს. როგორც „ევროპის არმიის“ ერთ-ერთი მომხრე, პინო წავიდა გენერალ ომერანის წინადადების წინააღმდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა ედუარდ ერიომ. იგი დაჟინებით მოითხოვდა იმას, რომ მიეღოთ რეზოლუცია კამათის გადადების შესახებ და საფრანგეთსა და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა შორის მოლაპარაკების განახლების შესახებ.

შემდეგ კენჭი უყარეს „წინასწარ საკითხს“ ანუ გენერალ ომერანის წინადადებას. ეს წინადადება იმით ამოიწურება, რომ ეროვნული კრება უარს ამბობს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ (პარიზის ხელშეკრულების), აგრეთვე ბონის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის შემდგომ განხილვაზე და თავისი დღის წესრიგიდან ხსნის მას.

ხმების დასათვლელად გამოცხადდა შესვენება.

როცა სხდომა განახლდა, გამოაცხადეს, რომ ომერანის წინადადებამ მიიღო 319 ხმა, წინააღმდეგ მიცემულია 264 ხმა. ამრიგად ეს წინადადება მიღებულია.

ამ კენჭისყრით ეროვნულმა კრებამ ფაქტიურად უარყო პარიზის ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისა“ და „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ.

ამრიგად ამ საკითხზე კამათი შეწყდა. ეროვნული კრების სხდომა შეწყდა. კრება უნდა შეუდგეს თავისი დღის წესრიგის მორიგი პუნქტის განხილვას.

ბონის ბუნდესტაგის დეკუზაგის შმიდტ-ვიტმაკის განცხადება გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტისადმი

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა ბონის ბუნდესტაგის დეპუტატის შმიდტ-ვიტმაკის ინტერვიუ ამ გაზეთის ბერლინელ კორესპონდენტთან.

შმიდტ-ვიტმაკმა განაცხადა, რომ იგი „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეზე იმისათვის გადავიდა, რომ გერმანელ ხალხს უთხრას სიმართლე „ევროპის თავდაცვით გაერთიანებაზე“, რომელიც ნიშნავს „ახალი ვერმახტის აღდგენას“. „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოვსვლა, — თქვა მან, — ჩემთვის ერთადერთი შესაძლებლობა იყო განმეცხადებინა, რომ არ ვეთანხმები გერმანიის შეიარაღებისა და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის პოლიტიკას და უნდა გამეფრთხილებინა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა, რომ ასეთი პოლიტიკა საშიშია.

შმიდტ-ვიტმაკმა აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის ბევრი გერმანელის აზრით, ჟენევის თათბირმა შექმნა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ახალი პერსპექტივები. შმიდტ-ვიტმაკმა თქვა, რომ, როგორც ბონის ბუნდესტაგის დეპუტატს, მას მოსდიოდა მრავალი წერილი, რომლებითაც ამომრჩევლები თავიანთ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ადენაუერის მთავრობის პოლიტიკის გამო. დასასრულ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰიტლერული ვერმახტის აღორძინება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ფარგლებში სერიოზული საფრთხე იქნებოდა არა მარტო გერმანიისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მორგან ფილიპსის გამოსვლა პეკინის რადიოთი

პეკინი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ამჟამად ჩინეთში მყოფი ინგლისის ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის წევრმა მორგან ფილიპსმა პეკინის რადიოში გამოსვლისას, კერძოდ, განაცხადა:

— ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ისევე, როგორც ინგლისელი ხალხი, ჩინელი ხალხი ისწრაფვის იცხოვროს მშვიდობიანად, რათა შეესაძლებლობა ექნეს განავითაროს თავისი ქვეყნის უდიდესი რესურსები ხალხის საკეთილდღეოდ, ამაღლოს ცხოვრების დონე და თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოს ისეთი სოციალური კეთილდღეობა, როგორიც, ჩვენი აზრით, მთელი კაცობრიობის კუთვნილება უნდა იქნეს.

ჩვენ, განაცხადა მორგან ფილიპსმა, უნდა გავაკეთოთ ყოველივე, რაც კი შეგვაძლია, რათა გავიგოთ ერთმანეთის თვალსაზრისი, აგრეთვე გავიგოთ ერთმანეთის კანონიერი მისწრაფებანი და დახმარება გავუწიოთ მათს განხორციელებაში. შესაძლოა, და დანამდვილებითაც კი, რომ ჩვენ ზოგჯერ სხვადასხვანაირად მივუდგებით ჩვენს საერთო პრობლემებს. მაგრამ მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ჩვენ ეს პრობლემები მაინც უნდა გადავჭრათ, როცა არსებობს უთანხმოება, გადავჭრათ მეგობრული და შეთანხმებითი სულისკვეთებით.

ფაშისტური ემიგრანტების აქტივიზაცია დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 30 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს ცნობით, რეკლინგჰაუზენში გაიმართა მილიტარისტული ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის“ წევრთა ფაშისტური კრება. ამ ორგანიზაციას სათავეში უდგას ყოფილი ჰიტლერული გენერალი, სამხედრო დამნაშავე კესელრინგი. ცნობაში აღნიშნულია, რომ ამ შეკრების მონაწილეთა უმრავლესობას სამხედრო ფორმა ეცვა. ბევრს მკერდზე ფაშისტური ორდენები ჰქონდა.

როგორც ცნობაშია აღნიშნული, შეკრებილთა წინაშე ფაშისტური სიტყვა წარმოთქვა კესელრინგმა, რომელმაც, კერძოდ, მხარი დაუჭირა ხელშეკრულებას „ევროპის არმიის“ შესახებ.

რეკლინგჰაუზენის მშრომელთა პროტესტის გამო შეკრების მონაწილენი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ქალაქის ცენტრში ჩირაღდნებით სვლაზე, რაც თავდაპირველად იყო გამოცხადებული.

ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ ამავე დროს რეკლინგჰაუზენში გაიმართა საპროტესტო მიტინგი ამ ქალაქში „ფოლადის მუზარადის“ წევრ ფაშისტთა კრების გამართვის წინააღმდეგ.

წყალდიდობა ინდოეთში

დელი, 30 აგვისტო. (საკდესი). წყალდიდობას, რაც ჩრდილოეთ ინდოეთის მდინარეების ნაპირებიდან გადმოსვლამ გამოიწვია მუსონების დროს, წელს განსაკუთრებით გამანადგურებელი ხასიათი ჰქონდა — ასამის, დასავლეთ ბენგალიის, ბიხარისა და უტარ პრადეშის შტატებში წყალმა დაფარა 25 ათას კვადრატულ მილზე მეტი ტერიტორია. წყალდიდობით განსაკუთრებით დაზარალდა ბიხარისა და ასამის შტატები. ასობით სოფელი დაფარულია წყლით. ბრინჯისა და სხვა სასურსათო კულტურების ნათესები წყალდიდობით დაზარალებულ რაიონებში სავსებით მოისპო. არის ადამიანთა ბევრი მსხვერპლი.

როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას და იუნაიტედ პრეს ოფ ინდიას სააგენტოები იუწყებიან, სურასათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა რაფი აჰმედ კიდვაიმ, რომელმაც დათვალიერა ბიხარის შტატის ჩრდილოეთი ნაწილის წყალდიდობით დაზარალებული რაიონები, განაცხადა, რომ, მისი შეფასებით, ბიხარის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში წყალდიდობით დაზარალდა 800 ათასამდე კაცი.

პრემიერ-მინისტრ ნერუს ინიციატივით შექმნა წყალდიდობით დაზარალებულთათვის დახმარების ფონდი, რომელიც შედგება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირების შენატანებისაგან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

30 აგვისტოს თბილისს ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრები ახალგაზრდული ვაუთა და ქალთა გუნდები.

ვაგზალზე სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქის სახელოვანი ადამიანები.

ჩინელი ფრენბურთელები საბჭოთა კავშირში ორი თვე იმყოფებიან. მათ ამხანაგური შეხვედრები მოაწყეს მოსკოვის, კიევის, მინსკის, რიგის, ხარკოვის ფრენბურთელებთან და თამაშის მაღალი კლასი გვიჩვენეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელები თბილისელ ფრენბურთელებთან გამართავენ ერთობლივ წვრთნას და ამხანაგურ შეხვედრებს. პირველი შეხვედრა მოხდება 3 სექტემბერს ს. მ. კიროვის სახელობის პარკის საფრენბურთეში მოედნებზე. ჩინელ ფრენბურთელთა ნაკრები ახალგაზრდული გუნდები შეეჯიბრებიან თბილისის ვაუთა და ქალთა ნაკრებ გუნდებს. (საკდესი).

სურათზე: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელები თბილისის ვაგზალზე.

ოტო ვ. ზარიძისა.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

კიევი, 30 აგვისტო. ამ დღეს საინტერესო იყო გათამაშების ლიდერის — თბილისის „დინამოსა“ და რიგის ოფიცერთა სახლის „გუნდების შეხვედრა. რიგელმა კალათბურთელებმა ვერ შეაჩერეს დინამოელთა იერიშები და თამაში წააგეს ანგარიშით 54:69.

თბილისის „ნაუკას“ ქალთა გუნდმა მეშვიდე შეხვედრა ჩაატარა ლენინგრადის „ისკრასთან“, რომელიც გასულ წელს მესამე საპრიზო ადგილზე იყო. თბილისელმა კალათბურთელებმა ძლიერათ ჩაატარეს თამაში და მატჩი მოიგეს ანგარიშით 56:33.

„სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში

მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე 30 აგვისტოს გაიმართა მორიგი შეჯიბრება „სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ და „სპარტაკის“ გუნდები.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1. შეხვედრის მეორე ნახევარში უპირატესობა სპარტაკელთა მხარეზე იყო. მათ მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 3:1.

„დინამოს“ (მოსკოვი) გუნდი გამოვიდა შემდგომი შეჯიბრებიდან „სსრ კავშირის თასზე“ ფეხბურთში. (საკდესი).

საქართველოდან გაემგზავრა ჰოლანდიელ მეცნიერთა დელეგაცია

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად ჰოლანდიელ მეცნიერთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, იყვნენ ქალაქის ფუნეთმებში, კულტურისა და დასვენების პარკებში. სტუმრები ეწვივნენ ი. ბ. ზალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ესაუბრნენ უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ვ. კუპრაძეს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს პროფესორ ნ. ბერძენიშვილს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების შესახებ.

ჰოლანდიელი მეცნიერები იყვნენ ქალაქ გორში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სტუმრების პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწენი, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

29 აგვისტოს ჰოლანდიელ მეცნიერთა დელეგაცია სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრა. (საკდესი).

მოსახლეობის ფლუოროგრაფიული გამოკვლევა

ტუბერკულოზით დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის სერიოზულ გამოკვლევას და ავადმყოფთა დროულად გამოვლენებას, ამ მიზნით რესპუბლიკურ ტუბდისპანსერში შექმნილია სპეციალური სამკურნალო ჯგუფი. იგი შეიარაღებულია შესანიშნავი აპარატით, ეგრეთწოდებული ფლუოროგრაფით, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობის მასობრივად გამოკვლევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

დისპანსერის ფლუორგრაფიული ჯგუფი სერიოზულ მუშაობას ეწევა. წელს ჯგუფმა თბილისის საწარმოებსა და სკოლებში მასობრივი გამოკვლევების საფუძველზე შეისწავლა 4.000 ადამიანის ჯანმრთელობა. გარდა ამისა, რესპუბლიკის ქალაქებსა და სასოფლო რაიონებში ფლუოროგრაფიულად შემოწმებულია 11.000 ბავშვი, ქალი და მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად შემცირებულია დაავადების პროცენტი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები.

წელს მანძილზე რესპუბლიკის ტუბდისპანსერის ფლუოროგრაფიულ ჯგუფს განზრახული აქვს მოახდინოს ათასობით ფლუოროგრაფიული გამოკვლევა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ᲥᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 17 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გივი დავითისძე ჭანუყვაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სოციალისტური დაგროვების არსი და მნიშვნელობა“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 11 სექტემბერს ღამის 1 საათზე №86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლუბა ილიას ასული ხლიტინსკაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Борьба в